

თამაზ გოდერძიშვილი

# ინსტენირებები



გამომცემლობა „კენტაური“  
თბილისი  
2020

## ჰაჯი მურატი

ორ მოქმედებად

მოქმედი პირნი სცენაზე გამოჩენის მიხედვით

წამყვანი

ჰაჯი-მურატი

სემიონ ვორონცოვი

მარია – ამის ცოლი

მიხეილ ვორონცოვი

ლორის მელიქოვი – ამისი ადიუტანტი

ნიკოლოზ პირველი

ჩერნიშევი – ნიკოლოზის სამხედრო მინისტრი

შამილი

ჯემალ-ეღინი – შამილის სიმამრი

ივან მატვეევიჩი – სამხედრო ნაწილის უფროსი

მარია დმიტრიევნა – სამხედრო ნაწილის დიასახლისი

ბუტლერი – რუსი ოფიცერი

ჰაჯის მიურიდები, რუსი ჯარისკაცები და სხვანი.

## შესავალი

**წამყვანი** – შუა ზაფხული იდგა. მინდორ-მინდორ ვბრუნდებოდი შინ. ნაირ-ნაირი ყვავილების დიდი თაიგული უკვე შევკონე, როცა თხრილში მშვენიერი ჟოლოსფერი, მთლად აყვავებული ბირკავა შევნიშნე და გადავწყვიტე, ჩემი თაიგულის შუაში ჩამედო. ამ ბირკავას მთიბავები შემთხვევით თუ მოჭრიან, იმწამსვე გადაადგებენ, ხელები რომ არ დაეჩხვლიტოთ. თხრილში ჩავცოცდი, მაგრამ ყვავილის მოგლეჯა ძალიან გამიძინელდა. ღერო ყოველი მხრით იჩხვლიტებოდა, ხელზე შემთხვეულ ცხვირსახოციდანაც კი; ბირკავას ეკლები ისე გამიძალიანდა, ხუთი წუთი ვებრძოდი, ბოჭკოებს სათითაოდ ვგლეჯდი. ბოლოს, როგორც იქნა, მოვწყვიტე, მაგრამ ღერო სულ დაფლეთილიყო და ყვავილიც უწინდებურად ხასხასა და ლამაზი აღარ ჩანდა. თანაც სრულიად არ უხდებოდა თაიგულის ნაზ ყვავილებს. ვინანე, ტყუილ-უბრალოდ რომ მოვუღე ბოლო ბირკავას, რომელიც თავის ადვილას მშვენიერი იყო და გადავისროლე. მაინც რა არის ეს ძალა სიცოცხლისა! რა თავგანწირვით მებრძოდა და რა ძვირად დათმო სიცოცხლე! რა გამანადგურებელი და შეუბრალებელია ადამიანი. რამდენი სხვადასხვა ცოცხალი არსება და მცენარე მოსპო საკუთარი სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ასე ვფიქრობდი და ამ უსიცოცხლო, ახლადმოხნულ გადაშავებულ მინდორზე ჩემდა უნებურად დავეძებდი სიცოცხლის რაიმე ნასახს. უცებ, გზის მარჯვნივ, ბუჩქი დავინახე. ახლოს მივედი და ისევ ბირკავა აღმოჩნდა. ბუჩქს სამი შტო ჰქონდა. ერთი შტო მოეწყვიტათ. დანარჩენი ორი მოკვეთილი ხელებივით გამოშვერილიყო და თითო ყვავილი-ლა შემორჩენოდა. ეს ოდესღაც წითელი ყვავილები გამავებულიყო. ერთი ღერო გადამტვრეული იყო და მისი ნახევარი, რომელზედაც ტალახიანი ყვავილი ჩანდა, ძირს ეკიდა. მეორეს, თუმცა შავი ტალახი მოსდებოდა, თავი მაინც მალლა აეწია. ეტყობა, ბუჩქს ბორბალმა გადაუარა, მერე მაინც წამოიძარათა და ამიტომაც გადახრილიყო, თუმცა მაინც იდგა; თითქოს სხეულის ნაწილი მოეგლიჯათ, შიგნეული გამოეფატრათ, ხელი მოეკვეთათ, თვალები დაეთხარათ, ის კი მაინც იდგა და არ ნებდებოდა ადამიანს, რომელმაც ირგვლივ ყველა მოძმე გაუნადგურა. რა ენერგია! ყველაფერი დაამარცხა ადამიანმა, მილიონობით ბალახი მოსპო, ეს კი მაინც არ ნებდება. და მომაგონდა ძველი კავკასიური ამბავი, რომლის ნაწილის მოწმე ვახლდით, ნაწილი კი მომსწრეთაგან მოვისმინე... აი, ეს ამბავიც.

## პირველი ეპიზოდი

*(სადოს სახლი. ტახტზე მოხუცს სძინავს. შემოდის ჰაჯი-მურატი. მოხუცს მათრახის ტარს შეახებს, გააღვიძებს. მოხუცი წამოჯდება).*

**ჰაჯი** – სალამ ალეიქუმ.

**მოხუცი** – ალეიქუმ სალამ. *(წამოღვა, კართან მივიდა. გასძახა)*  
ბიჭო, მეჩეთში გაიქეცი და მამას დაუძახე. *(შემოდის ქალი – ბალიშები შემოაქვს. ხალიჩაზე ალაგებს, სტუმარმა რომ მოისვენოს)*

**ქალი** – კეთილი იყოს შენი მობრძანება!..

**ჰაჯი** – ღმერთმა გიცოცხლოს ვაჟიშვილები. *(ქალი გადის. ჰაჯიმ იარაღი აიხსნა და კედელზე მიჭედებულ ლურსმანზე ჩამოჰკიდა. დაჯდა. მოხუციც ჩაჯდა მის ახლოს. ორივე ლოცულობს. ლოცვის შემდეგ)* ახალი რა არის?

**მოხუცი** – არაფერი. მე მთაში ვცხოვრობ, სკებს ვუვლი. ახლახანს შვილის სანახავად ჩამოვედი. ახალი თუა რაიმე, ჩემს სადოს ეცოლინება.

**ჰაჯი** – თუ არ გინდა, მითხრა, რაც იცი და რაც მეც უნდა ვიცოდე?

**მოხუცი** – კარგს ვერაფერს გეტყვი. ახალი მხოლოდ ის არის, რომ კურდღლები სულ იმას ფიქრობენ, არწივები როგორ განდევნონ. ამათ ფიქრში ეს არწივები ხან ერთსა გლეჯენ და ხან – მეორეს. გასულ კვირას რუსის ძაღლებმა მიჩიციკებს თივა დაუწვეს. ალაჰმა თვალები ამოუწვას სუყველას! *(შემოდის ელდარი)* ეს ვინდა არის?

**ჰაჯი** – ჩემი მიურიდია, ელდარი.

**მოხუცი** – ძალიან კარგი. *(ელდარს მიუთითა, ჰაჯის მიუჯექიო; ისიც დაჯდა)* გასულ კვირას ჩვენმა ბიჭებმა რუსის ორი ჯარისკაცი დაიჭირეს. ერთი შემოაკვდათ. მეორე კი შამილს გაუგზავნეს ვედენოში. *(სუსტ ხმაურზე ჰაჯი და ელდარი წამოხტნენ, მაგრამ მაშინვე დამშვიდდნენ. სადო შემოვიდა)*

**სადო** – სალამ ალეიქუმ!

**ჰაჯი** – ალეიქუმ სალამ. *(ერთმანეთს გადაეხვივნენ. მერე სადომ ლოცვა წარმოთქვა და მხოლოდ ამის შემდეგ მიუჯდა სტუმრებს)*

**სადო** – შამილმა შენი დაჭერის ბრძანება გასცა – ან ცოცხალი მომგვარეთ, ან მკვდარიო. მგონი, ჯილდოც დააწესა. ყველგან

მისი კაცები დაძრწიან და გეძებენ, აქაც იყვნენ. მხოლოდ გუშინ წავიდნენ. ხალხს შამილის ბრძანების აუსრულებლობისა ეშინია. რუსებმა ისედაც აურიეს ტვინი და შამილის სისასტიკემ ხომ სულ გადარია. ასე რომ, ვინ რას ჩაიდენს, ვერ გაიგებ. ამიტომ სიფრთხილეა საჭირო. ჩემ სახლში, ჩემ ყონალს, სანამ ცოცხალი ვარ, თითოს ვერავინ დააკარებს. მაგრამ გარეთ კი?

**ჰაჯი** – კეთილი... ყური დამიგდე. რუსებს ახლავე უნდა გავუგზავნოთ კაცი და წერილი. ჩემი მიურიდი წავა; სანდო გამყოლია საჭირო.

**სადო** – ჩემს ძმას ბათას გავაყოლებ. *(გასძახებს)* ბათა! *(შეშობის ბათა)*

**ბათა** – სალამ ალეიქუმ!

**ჰაჯი** – შეგიძლია, ჩემი მიურიდი რუსებს შეახვედრო?

**ბათა** – შეიძლება. ყველაფერი შეიძლება. ვერც ერთი ჩეჩენი ვერ გადამელობება. სხვა წავა, ყველაფერს დაგპირდება და ვერაფერსაც ვერ გაგიკეთებს. მე კი შემიძლია.

**ჰაჯი** – კეთილი... ამ საქმეში *(სამ თითოს აიშვერს)* სამს მიიღებ.

**ბათა** – ფული ხელის ჭუჭყია. მე კი სასახელოდ ისაც მეყოფა, სახელგანთქმულ ჰაჯი-მურატს თუ მოვემსახურები. მთაში ყველა გიცნობს და ისაც იციან, რუსის ღორებს როგორ მუსრავენ!

**ჰაჯი** – საკმარისია... თოკი გრძელი სჯობია, სიტყვა კი – მოკლე.

**ბათა** – კარგი... გავჩუძდები.

**ჰაჯი** – მდინარე რომ უხვევს, იმ კლდის მოპირდაპირე მხარეს, ტყეში, პატარა მღელოზე ორი ზვინი დგას, შეგიმჩნევია?

**ბათა** – ვიცი.

**ჰაჯი** – იქ ჩემი სამი კაცი გელოდება.

**ბათა** – *(თავი დააქნია)* აია!

**ჰაჯი** – ხან-მაგომას იკითხავ. ხან-მაგომამ იცის, რაც უნდა გააკეთოს და რა უნდა სთქვას. ის რუსების უფროსთან, თავად ვორონცოვთან უნდა მიიყვანო. შეძლებ?

**ბათა** – მივიყვან.

**ჰაჯი** – მიიყვან და უკანაც მოიყვან! შეძლებ?

**ბათა** – შევძლებ, აბა რას ვიზამ.

**ჰაჯი** – იქიდან ტყეში დაბრუნდებით. მე იქ დავგხვდებით.

**ბათა** – ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც მიბრძანე. *(ვულზე ხელები დაიდო. მერე გავიდა).*

**ჰაჯი** – სადო! კიდევ ერთი კარგი კაცი გვჭირდება. გეხში უნდა გამეგზავნოს. გეხში, აი, რა მინდა... *(შემოდის ქალი – შემოაქვს დაბალი მრგვალი მავიდა. სუფრას გაშლის და ტაშტს, თუნგსა და პირსახოცსაც დატოვებს. როცა ქალი – გავა)*

**სადო** – გეხში მე წავალ.

**ჰაჯი** – *(ჩოხის მასრა ამოიღო, ტყვია მოხსნა და მილივით დახვეული ქაღალდი ამოიღო)* ამას ჩემ შვილს გადასცემ.

**სადო** – პასუხს რა ვუყო?

**ჰაჯი** – დაელოდები. წერილის პასუხს წამოიღებ და მოიტან.

**სადო** – შევასრულებ. *(წერილი თავის მასრაში მოათავსა)* ახლა კი ვივანშმოთ. *(ხელეებს გადაიბანენ და მავიდას მიუსხდებიან)* ძალიან დიდი მადლობა მინდა გადაგიხადო, აულში მე რომ ამომირჩიე და მესტუმრე.

**ჰაჯი** – ღმერთი გადაგიხადის. *(ცოტა წააციცქნა და ჭამა მიატოვა)* გმადლობ.

**მოხუცი** – რატომ შეჩერდი? თაფლი გასინჯე. კარგი თაფლი გვაქვს. წელს ბევრიცა გვაქვს და ძალიან გემრიელიც.

**ჰაჯი** – *(სადოს)* გმადლობ. და იცი კიდევ ერთხელ რატომ გინდი მადლობას? ვიცი, რომ ჩემი მიღებით სიცოცხლეს საფრთხეში იგდებ. ისიც ვიცი, შამილს რომ წავეჩნებე, ჩენეთის ყველა მცხოვრებს გამოუცხადეს, სიკვდილით დაისჯება, ვინც ჰაჯი-მურატს უმასპინძლებსო. ყოველ წუთს შეიძლება მოგადგნენ და ჩემი თავი მოგთხოვონ...

**სადო** – მაპატიე, შეგაწყვეტინებ... მე ეგ, რაცა სთქვი, კი არ მაფიქრებს, პირიქით, მახარებს. ვამაყოფ, ისე რომ ვიქცევი, როგორც საჭიროა. მითქვამს და გავიმეორებ; სანამ ჩემ სახლში ხართ და მეც თავი მხრებზე მადგას, ხელს ვერავინ გახლებს.

**ჰაჯი** – ვაფასებ შენს გულწრფელობას...

**სადო** – მშვიდად მოისვენე...

**ჰაჯი** – სიხარული და სიცოცხლე გიმრავლოს ალაჰმა! *(სადომ მადლობის ნიშნად ხელები მეკრძზე მიიღო და გავიდა. ჰაჯიმ ძილისპირული ლოცვა აღავლინა და წამოწვა. ასევე მოიქცა ელდარიც. პატრუქს დაუწიეს. წათვლილმა არ აცალა, ისევე შემოქანდა სადო)* რა მოხდა?

**სადო** – ერთმა ქალმა გიცნო და ქმრისათვის უთქვამს. ახლა მთელმა აულმა იცის, სადაცა ხარ. ჩემს ცოლთან მეზობელმა მოირბინა და უთხრა: უხუცესნი მეჩეთში შეკრებილან და ბჭობის შემდეგ გადაუწყვეტიათ, შეგიაყრონ.

ჰაჯი – უნდა წავიდეთ.

სადო – ცხენები მზად არის.

ჰაჯი – ელდარ! *(ელდარი წამოხტა. თოფ-იარაღი აისხეს)*  
ღმერთმა გადაგინადოს! *(გავლენ თუ არა, ყვირილი და იარაღის  
ჩხარუნნი გაისმის. მერე – სროლაც. მაგრამ ყველაფერი წამსვე  
მიწყნარდება)*.

## მეორე ეპიზოდი

*ციხე-სიმაგრე. სიმონ ვორონცოვის სახლი. ლომბერის მაგიდას  
უსხედან ვორონცოვი, პოლტორაცკი და პოლიკის ადიუტანტი.  
ვორონცოვის ცოლი მარია პოლტორაცკის მისჯდომია, კრინოლინით  
მის ფეხებს ეხება და კარტში ჩასჩერება.*

ადიუტანტი – *(პოლტორაცკის ჩასვლის მერე)* ღმერთო ჩემო!  
ისევ გააფუჭეთ ტუზი! არა, არა! ასე უყურადღებოდ თამაში  
შეუძლებელია!!

მარია – აპატიეთ... *(პოლტორაცკის)* ხომ ხედავთ? არ დამიჯერეთ  
და შეცდით.

პოლტორაცკი – რაც თქვენ მითხარით, ზუსტად ისე ვითამაშე...

მარია – ნუთუ ეს გიკარნახეთ? *(დაბნეულმა პოლტორაცკიმ კარტის  
აჭრა დაიწყო)*

ვორონცოვი – ამჯერადაც აპატიეთ, ადიუტანტო. შეცდა. ხდება  
ხოლმე.

ადიუტანტი – *(პოლტორაცკის)* თქვენ ნუ გაირჯებით. თქვენი ჯერი  
არ არის. კარტს მე ვარიგებ. *(კარტს გამოართმევს)* ესეც არ  
იციო? *(შემოდის კამერდინერი და ვორონცოვს უჩურჩულებს)*

ვორონცოვი – მომიტყვევთ, ბატონებო. ცოტა ხნით დაგტოვებთ.  
თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ჩემს მაგივრად მარია დაჯდება.  
*(გადის)*

მარია – აბა, რას იტყვით? თანახმანი ხართ?

ადიუტანტი – მე ყოველთვის და ყველაფერზე თანახმა ვარ...

პოლტორაცკი – *(ხელებს გაშლის)* მოხარულიც ვიქნები...

მარია – მაშ, მიფრთხილდით. მე თქვენ გიჩვენებთ, თამაში როგორ  
უნდა. *(შემოდის შესამჩნევად გახარებული ვორონცოვი. მარია  
მივარდება)* რისთვის გაგიხმეს?

**ვორონცოვი** – პოლკის მორიგე იყო და კიდევ ერთი კაცი.

**მარია** – პოლკის მორიგეს ვიცნობ. ის კიდევ ერთი კაცი ვინ იყო?

**ვორონცოვი** – ვერ გეტყვი.

**მარია** – ვერ მეტყვი? მაგასაც ვნახავთ... *(ვიდრე მაგიდას დაუბრუნდებიან)*

**ადიუტანტი** – ასე თამაში არ შეიძლება, ალექსი.

**პოლტორაკი** – აბა, თქვენ გეხებოდეთ მარიას კრინოლინი! ყოველი მისი სიტყვა, გამოხედვა, ღიმილი, ტანის ყოველი მოძრაობა, სუნამოც კი, რომელიც ამჟამად გადაუსხია, ყველაფერს მავიწყებს...

**ადიუტანტი** – და ამიტომაც შეცდომა შეცდომაზე მოვდით!

**პოლტორაკი** – ერთი თქვენ იყოთ ჩემს ადგილას, ვნახავ, როგორც ითამაშებდით.

**ვორონცოვი** – რას ჩურჩულებთ? თუმცა ამას მნიშვნელობა აღარა აქვს, რადგანაც ერთი რამ მინდა შემოგთავაზოთ.

**მარია** – მაინც რა?

**ვორონცოვი** – შამპანური დავლით.

**პოლტორაკი** – ამისთვის ყოველთვის მზად გახლავართ.

**ადიუტანტი** – ძალიან სასიამოვნოა. ამისთანა თამაშს, შამპანური არ სჯობს?!

**მარია** – დამშვიდდით! ბოლოს და ბოლოს, ხომ არ წაუგია. თქვენ რომ ამისთანას უძახით, იმ თამაშით ვასილიმ ჩვიდმეტი მანეთი მოიგო.

**ვორონცოვი** – *(ჭიქს ასწია)* ხელმწიფე იმპერატორს გაუმარჯოს!

**ერთად** – გაუმარჯოს!

**პოლტორაკი** – მარია ვასილევნა ვადღეგრძელოთ...

**ერთად** – ურა! ურა! ურა!

**ადიუტანტი** – ახლა კი დაგტოვებთ. ხვალ დილით ადრე უნდა ავღგე. ნახვამდის, ბატონებო.

**პოლტორაკი** – მეც მოვდივარ. ნახვამდის, მარია ვასილევნა. ნახვამდის სემიონ მიხაილოვიჩ!

**მარია** – ნახვამდის. თუ ყოველთვის ისე ითამაშებთ, როგორც გიკარნახებთ ხოლმე, პოლკის ადიუტანტი აღარ გაგიბრაზდებათ.

**პოლტორაკი** – თქვენი ყურმოჭრილი მონა ვარ.



**ვორონცოვი** – *(პოლტორაცკის)* თქვენი ასეულია ხვალ ტყის გასაკაფად დანიშნული?

**პოლტორაცკი** – დიახ, ჩემია. რატომ იკითხეთ?

**ვორონცოვი** – მაშ, ხვალ, (საათს დახედა) უფრო სწორედ, დღესვე, ისევ შევხვდებით.

**პოლტორაცკი** – ძალიან გამახარებთ, სემიონ მიხაილოვიჩ!  
*(პოლტორაცკი და ადიუტანტი გავლენ)*

**მარია** – აბა, ახლა ხომ მეტყვი, რა ხდება? აგრე რამ გაგაბრწყინა?

**ვორონცოვი** – კი, მაგრამ... ჩემო ძვირფასო...

**მარია** – ჩემო ძვირფასო და ჩემო სიხარულო მერე დააყოლე. ახლა კი, გისმენ.

**ვორონცოვი** – მე სამხედრო პირი ვარ... არსებობს რაღაც კანონები...

**მარია** – მსტოვარი იქნებოდა, ვიცი.

**ვორონცოვი** – ასეც რომ ყოფილიყო, მაინც არ შემიძლია თქმა.

**მარია** – შენ თუ არ შეგიძლია, მაშინ, მე გეტყვი.

**ვორონცოვი** – შენ? აბა, იგალობე?

**მარია** – ჰაჯი-მურატი, ხომ?

**ვორონცოვი** – გადამრევს ეს ქალი?! საიდან იცი? ვინ გითხრა?

**მარია** – ქალებს უფრო ადრე აქვთ ხოლმე ცნობები.

**ვორონცოვი** – თვითონ ჰაჯი-მურატი არ ყოფილა. მაგრამ მსტოვარი გამომიგზავნა და შემომითვალა, სადაც ტყის გაკაფვა გაქვს განზრახული, შენთან იმ ადგილას მოვალო.

**მარია** – ჩვენ მთავრობასთან მოსალაპარაკებლად შენ ავირჩია! ხედავ, რა კეთილი სახელი გაქვს გავარდნილი მთიანეთში?

**ვორონცოვი** – რა ვქნა... ვცდილობ. მხოლოდ შენი გული ვერ მოვინადირე.

**მარია** – ჩემი გული შენ ერთის ნახვით მოინადირე. ხომ იცი, როგორ მიყვარხარ.

**ვორონცოვი** – მეც ძალიან მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლე.

**მარია** – როგორ გაეხარდება მამაშენს ეს ამბავი?!

**ვორონცოვი** – ძალიან. მეც მიხარია.

**მარია** – მეც.

## მესამე ეპიზოდი

*ტყის პირი. შემოდინ პანოვი, ავდევი და ნიკიტინი.*

**პანოვი** – კარგი ადგილია. მოდი, დღეს აქ ჩავსაფრდეთ საგუშაგოდ.  
(*პაუზა*) ფუი, დალაზვროს ეშმაკმა!

**ავდევი** – რა მოხდა?

**პანოვი** – ან დამავიწყდა, ან გზაზე ამომვარდა! (*ჯიბებში რაღაცას ეძებს*)

**ნიკიტინი** – რას ეძებ?

**პანოვი** – ჩიბუხს.

**ნიკიტინი** – საგუშაგოზე თამბაქოს მოწვევა აკრძალულია...

**პანოვი** – ეს საგუშაგო კი არა, მეწინავე სადარაჯოა. ასე წინ იმიტომ გამოგვაგზავნეს, მთიელებმა შეუმჩნევლად ქვემეხები რომ არ მოაგორონ და ციხე-სიმაგრეს ყუმბარები რომ არ დაუშინონ. მოწვევაზე უარი რატომ უნდა ვთქვათ? ეგ ერთი სიამოვნებაა შეგვრჩა.

**ნიკიტინი** – რა მაგის პასუხია და, ჩვენი ასეულის უფროსი ისევე ჩამძვრალა ყუთში. ბანქოში მაგარი მაყუთი წაუგია.

**პანოვი** – ბიჭო, ერთ სულზე ხაზინიდან ექვს მანეთსა და ორმოცდაათ კაპიკს ძლივს გვაძლევენ და იმასაც გვპარავს? ამ ფულით სანოვაგე უნდა ვიყიდოთ, კომბოსტო უნდა დავრგოთ, ბალახი მოვთიბოთ, თივა დავამზადოთ, რომ მაძლარი ცხენები გვყავდეს და საზიდრები თავისუფლად ზიდონ. ასეულის მეთაურს გასაღებს იმიტომ ვანდობთ, რომ ჩვენს ხაზინას მოუაროს; ის კი ჯიბეში გვიძვრება? შვრია საყიდელია, ჩექმებიც უნდა შევიძინოთ საგაზაფხულოდ. ფული ახლა გვჭირდება. იმან კი სულ წაგვართვა?

**ავდევი** – დაგვიბრუნებს. კარგი ოფიცერია.

**ნიკიტინი** – კარგია, კარგი, მაგრამ უნდა მოგველაპარაკოს. გვითხრას, რამდენი აილო და როდის დაგვიბრუნებს.

**ავდევი** – როგორც ასეული განსჯის. ხალხს დიდი ძალა აქვს. პირველი შემთხვევა ხომ არ არის?! აილო და დაგვიბრუნებს.  
(*პაუზა*)

**პანოვი** – ეს!

**ავდევი** – (*პანოვს*) რაო, ანტონიჩ, ხანდახან ასე ნაღვლიანად რაზე ამოიხრებ ხოლმე?

**პანოვი** – მომეშვი, პიოტრ, შენ უარესად დადრეჯილიც მინახისარ.

**ავდევი** – მართალია. ამას წინათ კაპიკ-კაპიკ შეგროვილი რომ გავანიავე, სევდამ ისე ამიტანა, გავიფიქრე, მოდი, ერთს კარგა მაგრა გამოვბრუყდები-მეთქი.

**ნიკიტინი** – ღვინომ უარესი დარდი იცის.

**პანოვი** – მერე და რაზე მოიწყინე?

**ავდევი** – ოჯახზე ვფიქრობ.

**პანოვი** – კარგად ცხოვრობთ?

**ავდევი** – მდიდრულად არა, მაგრამ შეძლებული ოჯახი გვაქვს. მე ჯარში ჩემი სურვილით, ძმის მაგივრად, წამოვედი; ჩემ ძმას ოთხი შვილი ჰყავს. მე კი, ის იყო ქალი შემრთეს: აქსინია, გემრიელი გოგო. დედა შემეხვეწა. ვიფიქრე, რა მიჭირს, წავალ, ეგებ სიკეთე დამიფასონ-მეთქი. მივედი ბატონთან. ბატონი კარგი გყავს. მითხრა: „ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ, წადიო!“ და წამოვედი.

**პანოვი** – კარგი გიქნია.

**ავდევი** – ახლა კი, ანტონინ, მოწყენილი ვარ. ყველაზე ძალიან ის მადარდებს, ძმის მაგივრად რომ წამოვედი. არ უნდა წამოვსულიყავი. ეხლა ის მეფურად ცხოვრობს, მე კი აქ ვიტანჯები და რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით უარესია. რას იზამ! ასეთი ბედი მქონია...

**ნიკიტინი** – თუ ვაჟკაცურად მოიქეცი, ნულარ წუწუნებ, შეიფერე!

**ავდევი** – ცოლი მომენტრა. გემრიელი გოგოა.

**პანოვი** – ახლახანს ვორონცოვს ორი მსტოვარი რომ მიუყვანე, იმ მსტოვრებს ცოლებზე იმიტომ ელაპარაკებოდი?

**ავდევი** – როგორც გინდა ისე თქვი, ჩემო ძმაო, და კაი ბიჭები კი არიან ეს ჩეჩენი თავმოტვლეპილები. ღმერთმანი, მართალს ვამბობ! იცი, რა არხეინად ვისაუბრეთ?

**ნიკიტინი** – ნამდვილად ასე იზამდი.

**ავდევი** – მერწმუნეთ, სულ ჩვენ, რუსებსა გვეგანან. ერთი ცოლიანი აღმოჩნდა. „ქალი გყავს-მეთქი? მყავსო... შვილები? შვილებიცაო. ბევრი-მეთქი? ორიო“. გავებით საუბარი და ციხე-სიმაგრემდე ისე მივედით, არც გამივია. კარგი ბიჭები არიან.

**პანოვი** – როგორ არა, კარგები არიან... თუ დაგიმარტოხელა, ნაწლავეს ხელში დაგაჭერინებს.

**ნიკიტინი** – მგონი, საცაა ინათებს...

**პანოვი** – ჰო, ვარსკვლავები უკვე იბჟუტებიან... *(ურცებ გაისმის)*

*გასროლა. ავღევეი შეჰკვივლებს და მუცელზე იტაცებს ხელებს. საპასუხოდ ატაცუნდნენ რუსების თოფებიც)*

**ავღევეი** – ვაიმე, დედა!

**დედა** – „ჩემო უსაყვარლესო, ნაბოლარა შვილო პეტრუხა! ღმერთმა დიდხანს მიცოცხლოს შენი თავი! მამაზეციერმა აგაცილოს ყოველგვარი ხიფათი და სალ-სალამათი დაგაბრუნოს შენთვის ძვირფას და უსაყვარლეს ოჯახში. სიყვარულითა და ნახვის ნატვრით მოვიკითხა მამამ, ძმამ, შენმა რძალმა და ოთხივე ძმისშვილმა“... *(შემოდის პოლტორაკი. პანოვი და ნიკიტინი სძენაზე გაივლილებიან. პოლტორაკი მწოლიარე სალდათს გაკვირვებით შეხედავს)*

**პოლტორაკი** – რა ხდება? ჯარისკაცი ფეხზე რატომ არ დგება?

**ნიკიტინი** – ის იყო, თოფი უნდა გამეტენა და რაღაცამ გაიჩხაკუნა. ვხედავ, *(ავღევეზე)* ამას ხიშტი ხელიდან გაუვარდა.

**პოლტორაკი** – რა იყო, ძმობილო, მოგხვდა? *(ავღევეი სდუმს)* სად მოგხვდა?

**ნიკიტინი** – *(პოლტორაკის)* თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ის იყო თოფი უნდა გამეტენა, რაღაცამ გაიჩხაკუნა. ვხედავ, ხიშტი ხელიდან გაუვარდა.

**პოლტორაკი** – ნწუუ, ნწუუ! გტკივა, ავღევე?

**ავღევეი** – არა, არა მტკივა, მაგრამ ფეხზე წამოდგომა არ შემიძლია. ნეტა, არაყი მომცა, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

**პოლტორაკი** – *(ადიუტანტს)* ჩემი მარაგიდან სპირტი დააღვეინეთ. *(ავღევემა მოსვა, მაგრამ მაშინვე მოიშორა პირიდან)*

**ავღევეი** – გული არ იღებს. (პანოვს) შენ დალიე... *(პანოვმა სპირტი გადახუხა)*

**ადიუტანტი** – თქვენო კეთილშობილებავ, პოლკოვნიკი ვორონცოვი მოდის...

**დედა** – „ვიცი, გეწყინება, მაგრამ უნდა შეგატყობინო: ნათლიაშენი გარდაიცვალა; ძალიან იწვალა. როგორც იქნა ამოუშვა ტანჯული სული. უფალმა მიიბარა. კიდევ ერთი უსიამო ამბავი უნდა გაგიმხილო, მეუბნებიან, არ მისწერო, მაგრამ ხომ იცი ჩემი ამბავი. სიმართლეს თვალეში უნდა შეხედოს ღვთისმოსავმა. შენმა ცოლმა, შენმა უსაყვარლესმა აქსინიამ არ ისურვა ჩვენთან ცხოვრება და ხელზე მოსამსახურედ დადგა. ამბობენ, კარგად და პატიოსნად ცხოვრობსო“. *(შემოდის ვორონცოვი)*

**ვორონცოვი** – *(პოლტორაკის)* ეს რა ამბავია თქვენთან?

**პოლტორაკი** – მთიელების ერთი ჯგუფი გამოვიდა და ჩვენს მოწინავეებს თავს დაესხა.

**ვორონცოვი** – არა მჯერა. ალბათ, თქვენ წამოიწყეთ.

**პოლტორაკი** – მე არა, თავადო; *(ღიმილით)* თვითონ გვეძალებოდნენ.

**ვორონცოვი** – გავიგე, ჯარისკაცი დაჭრესო?

**პოლტორაკი** – დიახ. ძალიან სამწუხაროა. კარგი ჯარისკაცია!

**ვორონცოვი** – მძიმედ არის?

**პოლტორაკი** – მგონი, ძალიან მძიმედ... მუცელშია დაჭრილი?

**დედა** – „და კიდევ, ჩემო საყვარელო შვილო, ჩემო მტრედო, პეტრუშენკა, ცრემლით დავივსე თვალები შენს დარდში. ჩემო მზეო, ჩემო თვალის ჩინო, ვისი იმედით დამტოვე...“

**პანოვი** – პიოტრ, ხომ არ გინდა, შინ რამე დამაბრო?

**ავდეევი** – რაო?

**პანოვი** – შინ ხომ არ შეუთვლი რამეს? ნიკიტინი დაწერს.

**ავდეევი** – ნიკიტინ, დაწერ? მაშ, მისწერე: თქვენმა ვაჟმა პეტრუხამ თქვენი ჭირი წაიღო-თქო... ძმისა მშურდა. ახლა კი მიხარია. კარგად იყოს, ღმერთმა ხელი მოუმართოს...

*(მამა, ძმა და რძალი)*

**მამა** – *(ძმას)* რას დაყილობ უსაქმურად?

**ძმა** – ცხენებს მოვლა არ უნდა?

**მამა** – ცხენებს დელაბერიც მიხედავს. აილე საცხენელი, შელოთო!

**ძმა** – რა იყო, შენ დამალევეინე?

**მამა** – რაო? სისულელე ჩაიდინა პეტრუხამ, შენ მაგივრად რომ წავიდა! ჯარში ჭკუაზე მოგიყვანდნენ. ის ხუთ შენისთანად ღირდა.

**რძალი** – გეყოფა, მამა!

**მამა** – ექვს სულს პურს გაჭმევთ და ერთიც არ მუშაობს!

**ძმა** – პეტრუხა შინ რომ იყო, იმას აგინებდი. არ არის და ახლა მე მახრჩობ.

**მამა** – ალბათ, ღირსი ხარ. პეტრუხას შენ ვერ შეედრები.

**ძმა** – კარგი, ჰო!

**მამა** – სწორედ რომ კარგია! ფქვილის ფული ლოთობაში გაანიავე და ახლა ამბობ კარგიო?

**რძალი** – ძველ ამბავს ხუთჯერ არ იხსენებენ! *(ძმა და რძალი გაეღუნ)*

**მამა** – *(ღელას)* პეტრუსა ჯარში წავიდა თუ არა, მაშინვე ვიგრძენი, ცხენიდან ვირზე რომ გადავჯექი. მუშაკაცი, მოხერხებული, გამჭრიახი, ღონიერი და, რაც მთავარია, შრომისმოყვარე იყო.

**დედა** – სულ მუშაობდა. მომუშავეებს თუ ჩაუვლიდა, შენი არ იყოს, მაშინვე მიეშველებოდა: ან ცელით ერთ-ორ სვრელს გაიტანდა, ან ურემს დატვირთავდა, ან ხეს მოჭრიდა, ან შემას დაჩხავდა.

**მამა** – ჯარისთვის მებრალბოდა, მაგრამ რა მექნა? ჯარისკაცობა სიკვდილს ნიშნავს. ჯარისკაცი ოჯახისათვის დაკარგულია.

**დედა** – უკვე ორი წელია, გთხოვ, ახლა მაინც შემისრულე. შვრიას რომ გავყვით, ერთი მანეთი მაინც გაუგზავნე...

**ავდევევი** – სანთელი მომეცით. მე ახლა მოკვდები.

**პანოვი** – ეგრე ცუდადა ხარ?

**ავდევევი** – მომეცი სანთელი, კვდები. *(ავდევეს სანთელი მისცეს, მაგრამ ვერ დაიჭირა და თითებშუა ჩაუღღს. პანოვმა გულზე ყური მიადო.)*

**პანოვი** – გარდაიცვალა...

**პოლტორაკი** – „ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო, ავდევევებო! 23 ნოემბერს პოლკის ორი ასეული ტყის საჩხად გავიდა. გარიჟრაჟზე მთიელთა საკმაოდ დიდი გუნდი მოულოდნელად თავს დაესხა ტყის მჩენავებს“.

**რძალი** – *(კითხულობს)* „მჩენავებმა უკან დაიხიეს. ამავე დროს მეორე ასეული ხიშტებით ეკვეთა მთიელებს და უკუაგლო ისინი. მთიელებმა ასამდე მოკლული და დაჭრილი დაკარგეს. ჩვენგან კი ამ ბრძოლაში მსუბუქად დაიჭრა ორი ჯარისკაცი. ერთი კი, თქვენი შვილი, პიოტრ ავდევევი გმირულად დაიღუპა, როცა მეფეს, მამულსა და მართლმადიდებელ სარწმუნოებას იცავდა. გმალბობთ, ასეთი მამაცი ჯარისკაცი რომ გაზარდეთ. გიბრუნებთ წერილსა და ერთ მანეთს, რომელმაც ავდევეს, სამწუხაროდ, ვერ ჩამოუსწრო“.

**ფორონცოვი** – *(პოლტორაკის)* იცით, სად მივდივარ?

**პოლტორაკი** – არა, არ ვიცი.

**ფორონცოვი** – ვერცა ხვდებით?

**პოლტორაკი** – ვერა.

**ფორონცოვი** – ჰაჯი-მურატი ჩვენს მხარეს გადმოვიდა და ახლა შეგვხვდება.

**პოლტორაკი** – შეუძლებელია.

**ვორონცოვი** – წუხელ, კარტს რომ ვთამაშობდით, იმიტომ მიგატოვეთ, მისი მსტოვარი მესტუმრა და ეს ამბავი მომახსენა. შაინის მინდორზე მელოდება.

**პოლტორაკი** – შეუძლებელია!

**ვორონცოვი** – უსაფრთხოებისათვის მსროლელები იმ მინდვრამდე გაშალეთ და მერე ჩემთან შინ მოდით. ჰაჯი-მურატს ჯერ ჩემთან წავიყვან, მარიას ვუჩვენებ.

**პოლტორაკი** – მესმის. *(გაღის)*

**ვორონცოვი** – *(ჯარისკაცებს)* იცით, ვინ არის ის კაცი, ცხენს ჩვენსკენ რომ მოაქანებს?

**ნიკიტინი** – ვერაფრით ვერ ვიცანი, თქვენო ბრწყინვალეზავ!

**ვორონცოვი** – ჰაჯი-მურატი გაგიგონია?

**პანოვი** – როგორ არ გამიგონია, თქვენო ბრწყინვალეზავ, ბევრჯერ დაგვიმარცხებია კიდეც.

**ვორონცოვი** – არც ამას დაუყრია ჩვენთვის ხეირი.

**პანოვი** – სწორედ ასეა, თქვენო ბრწყინვალეზავ.

**ნიკიტინი** – რამდენი კაცი და ოჯახი დალუპა ამ წყეულმა. ახლა კი, ჩვენსკენ თუ გადმოვა, არაფერს დააკლებენ.

**პანოვი** – მაშ, როგორ? შამილის პირველი მეთაური იყო. დღეიდან კი, ალბათ...

**ნიკიტინი** – ყოჩაღი ჯიგიტი კი არის, რა თქმა უნდა.

**პანოვი** – წითური? ხედავ, ის წითური მხეცივით იბღვირება.

**ნიკიტინი** – ეტყობა, რა ძალღიჯ არის.

**ელდარი** – სალამ ალეიქუმ!

**ვორონცოვი** – გამარჯობა!

**ჰაჯი** – სალამ ალეიქუმ. პირდაპირ გეტყვი: რუს ხელმწიფეს ვნებდები. მინდა, მას ვემსახურო. დიდი ხანია ეს მსურდა, მაგრამ შამილი არ მიშვებდა. *(ვორონცოვმა ხელთათმანიანი ხელი გაუწოდა. ხელს დახვდა, წამით შეყოვნდა, მერე მავრად ჩამოართვა)* შენს გარდა არავისთან არ მინდოდა გადმოსვლა, რადგან სარდარის შვილი ხარ. შენ დიდ პატივს გცემ.

**ვორონცოვი** – გმადლობ! *(თავი დაუკრა)*

**ჰაჯი** – *(ამლახზე)* ესენი ჩემი მიურიდები არიან. ესენიც, ჩემსავით, დღეიდან რუსებს ემსახურებიან.

**ვორონცოვი** – *(ამლახსაც თავი დაუკრა)* ციხე-სიმაგრისკენ გავესწიოთ.

## მეოთხე ეპიზოდი

*სემიონ ვორონცოვის ბინა. მარია მოლოდინშია. შემოდის ვორონცოვი და ჰაჯი.*

**ვორონცოვი** – მარია, მიიღე სტუმარი. ეს სახელოვანი ჰაჯი-მურატია.

**მარია** – მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა.

**ვორონცოვი** – *(ჰაჯის)* ეს ჩემი მეუღლეა – მარია ვასილენა.

**მარია** – *(ჰაჯის მიმტერება. ძალიან მოეწონა. ხელი გაუწოდა)* შეგიძლიათ, უბრალოდ, მარია დამიძახოთ.

**ჰაჯი** – *(ვაშისშვლებული ხელის დანახვაზე გაწითლდა. თავს ძლა დაატანა. ხელი ძლივს ჩამოართვა. მერე ორივე ხელი მკერდზე მიიღო)* სალამ ალეიქუმ!

**მარია** – *(ფრანგულად)* სიმონ! ხედავ, როგორ გაწითლდა? კაციჭამიიანო და ბავშვივით მორცხვი კი ყოფილა!

**ვორონცოვი** – *(ფრანგულად)* კმარა, ფრანგული. უხერხულია. *(ქართულად)* მარია, კანცელარიაში გავალ და ვუბრძანებ, უფროსობას ჰაჯის გადმოსვლა აცნობონ. მაშაჩემსაც გავუგზავნი ბარათს. ახლავე დაებრუნდები. *(მარია ქმარს კარამდე მიაცილებს. კართან. ჩუმად)* ნურც ძალიან მოეფერებით და არც აწყენინოთ. *(გადის)*

**მარია** – *(ჰაჯის)* დაბრძანდით. *(ჰაჯი არ დაჯდა)* ყავას ხომ არ მიირთმევთ? *(ვასდასა)* ყავა შემოგვიტანეთ! *(შემოაქვთ)* ინებეთ. *(ლანგრიდან ჭიქას აიღებს და მიაწოდებს)*

**ჰაჯი** – *(ჭიქას ლანგარზე დააბრუნებს)* გმადლობ.. არ მინდა...

**მარია** – თქვენ, ალბათ, ჩაი გირჩევნიათ! გემრიელი ინგლისური ჩაი მაქვს.

**ჰაჯი** – გმადლობ... ნუ შეწუხდები...

**მარია** – ჩაი მართლა არა გნებავთ, თუ...

**ჰაჯი** – *(მიუხვდა)* შენი ხელიდან მოწოდებულ შხამსაც დაუფიქრებლად დავლევ; ესეც არ იყოს, ჩემი თავი თავადის, შენი მეუღლის, სემიონ ვორონცოვის ყონაღად მიმჩნია, რადგანაც შინ მიმიღო. ხოლო ყონაღის მთელი ოჯახი ისეთივე წმინდათა წმინდა ყონაღისათვის, როგორც თვითონ ყონაღი.

**მარია** – თქვენზე რა არ გამიგონია, მაგრამ, ეტყობა, გაზვიადებული



ჭორია. ამ ჭორებს აყლილს, მომიტყვეთ, მაგრამ არ მეგონა, ასეთი თუ იყავით. *(პაჯის პასუხი ვერ უპოვნია. უხერხული პაუზა)* რა ლამაზი ხანჯალი გაქვთ!

**ჰაჯი** – მოგწონს?

**მარია** – ძალიან!

**ჰაჯი** – *(ხანჯალს წამსვე მოიხსნის და გაუწოდებს)* ინებე!

**მარია** – როგორ გეპაძრებათ!

**ჰაჯი** – მართალია, ჩვენი ადათი კრძალავს, კაცმა უცხო ქალს იარაღი აჩუქოს, მაგრამ იმავე წესებში სწერია: რაც ყონალს მოეწონება, უნდა მისცე!

**მარია** – თუ ყოველ ყონალს მისცემთ ნივთს, რაც მოეწონება, მალე ადამივით დედიშობილა ივლით! *(ხანჯალი გამოართვა. ათვალიერებს. შემოდის ვორონცოვი)* სიმონ! ნახე რა ხანჯალი მაჩუქა ჩვენმა სტუმარმა!

**ვორონცოვი** – *(ფრანგულად)* ეს ძალიან ძვირფასი ნივთია! უნდა მოვნახოთ შემთხვევა და ჩვენც სამაგიეროდ ვაჩუქოთ რამე.

**მარია** – *(ფრანგულად)* კმარა ფრანგული! უხერხულია! *(იციინის)*

**ჰაჯი** – *(ესეც გამოხიარულდა, თუმცა ვერ გაიგო, რა თქვეს)* შენი მეუღლე ახლა ჩემთვის ხანჯლიანი ყონალია!

**ვორონცოვი** – შესანიშნავი ხანჯალია! *(მარიას)* მადლობა გადაუხადე?..

**მარია** – *(შეკბუნდა)* გმადლობთ... გმადლობთ...

**ვორონცოვი** – აბა, ყონალო, მითხარი, რით შემიძლია გემსახურო?

**ჰაჯი** – მე არაფერი მჭირდება. მხოლოდ ისეთი ადგილი მომიჩინე, ლოცვა შევძლო.

**ვორონცოვი** – ახლავე. კამერდინერო! *(შემოდის კამერდინერი)* ჰაჯი-მურატი განკუთვნილ ოთახში შეიყვანე და რასაცა გთხოვს, შეუსრულე.

**კამერდინერი** – მესმის, თქვენო ბრწყინვალეზავ. *(პაჯის)* წამომყევით. *(გაღიან)*

**მარია** – აბა, სიმონ, კმაყოფილი ხარ?

**ვორონცოვი** – რასაკვირველია! ძალიანაც კმაყოფილი ვარ, სწორედ მე რომ მომიხდა შამილის შემდეგ რუსეთის მეორე მთავარი, უძლიერესი მტრის გადმობირება. მაგრამ... არსებობს ერთი მაგრამ. წესით, ჩვენი ჯარების სარდლის, გენერალ მელერ-ზაკომელსკის მეშვეობით უნდა წარმემართა მთელი საქმიანობა.

მე კი ყველაფერი თვითონ გავაკეთე, გენერლისთვის არაფერი მიცნობებია. ამას შეიძლება ერთგვარი უსიამოვნება მოჰყვეს.

**მარია** – ნუ შეფიქრიანდი. რაც იქნება, თავიდან ვერ აიცილებ. ახლა კი შეირგე სისხარული!

**ჰაჯი** – *(ლოცვის შემდეგ)* ელდარ! *(შემოდის ელდარი)* სად მოათავსეს მიურიდები? ცხენები ან იარაღი ხომ არ ჩამოურთმევიათ?

**ელდარი** – ცხენები თავადის თავლაში შეიყვანეს. მიურიდები კი ფარდულში არიან. იარაღი ზედა აქეთ. თარჯიმანი საჭმლითა და ჩაით უმასპინძლდება.

**ჰაჯი** – ვორონცოვმა გაცილებით უკეთ მიმიღო, ვიდრე მოველოდი. მაგრამ, რაც უფრო უკეთესია ეს მიღება, მით უფრო ვერ ვენდობი ვორონცოვსა და მის ოფიცრებს. ველოდი, თქვენ, ყველას იარაღს აგყრიდნენ. ცხენებსაც დაგიბორკავდნენ. მე კი... შეუძლიათ ბორკილები დამადონ და გამაციმბირონ... ან... სულაც მომკლან, მაგრამ კეთილად გვექცევიან... რატომ? ფრთხილად უნდა გვეჭიროს თავი.

**კამერდინერი** – ჰაჯი-მურატ! თავადი სადილზე გიწვევთ. *(სასადილოში)*

**მარია** – ეშინია, არ მოვწამლოთ. საიდანაც მე ავიდე, ამანაც იქიდან გადაიღო ფლავი. *(ჰაჯის)* კიდევ როდის უნდა ილოცოთ?

**ჰაჯი** – *(ხუთი თითი ასწია)* ხუთზე.

**ვორონცოვი** – ესე იგი, მალე? *(ბრეგეტი ამოიღო, ზამბარას თითი დააჭირა. საათმა დარეკა)*

**ჰაჯი** – *(ვაოცდა)* აბა, კიდევ დარეკე! *(ვორონცოვმა დარეკა)* რა ლამაზად მღერის. ბულბულების გალობას მაგონებს...

**მარია** – *(ფრანგულად)* აი, შემთხვევაც მოგვეცა! აჩუქე!

**ვორონცოვი** – *(ჰაჯის)* ინებეთ! თქვენი იყოს. მიჩუქებია! *(ჰაჯიმ მაშინვე გამოართვა საათი და მადლობის ნიშნად ხელები მკერდზე მიიღო)*

**ჰაჯი** – საოცარია! *(რამდენჯერმე დააჭირა თითი ზამბარას. თავს კმაყოფილებით იქნებს)* ჩვენი სოფლის ბულბულების გალობას მასსენებს...

**კამერდინერი** – *(შემოდის)* გენერალმა გაიგო ჰაჯი-მურატის გადმოსვლის ამბავი და მოითხოვა, დაუყოვნებლივ მიიყვანოთ მასთან გადმობრუნელი.

**ვორონცოვი** – გენერლის ბრძანებას ახლავე შევასრულებ.

*(ჰაჯის)* გენერალმა მელერმა გვიბრძანა, ორივენი ვეახლოთ. გამომყვებით?

**ჰაჯი** – არა! მთიდან თეთრი მეფის სამსახურისათვის წამოვედი. ყველაფერს მხოლოდ სარდარს, ესე იგი, მამაშენს, თავად ვორონცოვს მოვასწენებ ტფილისში.

**წამყვანი** – ჰაჯი-მურატს ყოველთვის სწამდა თავისი ბედისწერა. როცა რაიმეს ჩაიფიქრებდა, წინასწარ მტკიცედ სჯეროდა, რომ მიზანს მიაღწევდა. მართლაც იშვიათად ღალატობდა ბედი. იშვიათი გამოჩაგვისის გარდა, ასე გრძელდებოდა მთელი მისი მშფოთვარე სამხედრო ცხოვრების მანძილზე და იმედი ჰქონდა, ამჯერადაც ასე მოხდებოდა.

### მესუთე ეპიზოდი

*მიხეილ ვორონცოვის კაბინეტი. შემოჰყავთ ჰაჯი. ვორონცოვი მაგიდასთან დგას. ჰაჯი-მურატი ეახლება.*

**ჰაჯი** – დიდი მეფისა და შენი მფარველობისათვის მომინდვია თავი. პირობას გაძლევ, ერთგულად, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვემსახურო თეთრ მეფეს და ვიმედოვნებ, სასარგებლო ვიქნები ჩემი და შენი მტრის, შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**ვორონცოვის ხმა** – *(თვალი თვალში გაუყარა ჰაჯის)* არც ერთი სიტყვა არა მჯერა შენი, ჰაჯი-მურატი! ღრმად ვარ დარწმუნებული, ყოველივე რუსულის მტერი რომ ხარ და ყოველთვის ასეთი დარჩები. ახლა ასე გჭირდება და მხოლოდ ამიტომ დაგვინებდი. თუმცა მაინც გეტყვი იმას, რაც ომის წარმატებისათვის საჭიროდ მიმაჩნია.

**ჰაჯის ხმა** – *(თვალი არ აარიდა ვორონცოვს. პირიქით თვალდაუხამხამებლად შესცქერის)* ვგრძნობ, ჩემი არა გჯერა, ვორონცოვი! მაინც უნდა დაგარწმუნო ჩემს ერთგულებაში... ისე, მოხუცო, შენ ომზე კი არა, სიკვდილზე უნდა ფიქრობდე. თუმცა საკმაოდ ცბიერი ჩანხარ და შენთან ურთიერთობისას ძალიან ფრთხილად უნდა მოვიქცე.

**ვორონცოვი** – ჩვენი ხელმწიფე იმდენადვე მოწყალეა, რამდენადაც ყოველისშემძლე. ჩემი თხოვნით, ალბათ, შეგიწყნარებთ და თავის სამსახურში მივიღებთ.

**ჰაჯი** – *(გულზე ხელები დაიწყო)* ოცდაცხრამეტ წელს, ავარიას როცა განვაგებდი, ერთგულად ვემსახურებოდი რუსებს და არასოდეს ვიღალატებდით, ახმად-ხანს ჩემთვის ცილი რომ არ დაეწამებინა.

**ვორონცოვი** – ვიცი, ვიცი... ვიცი *(ჰაჯის მიუთითა, დაჯექით)*.

**ჰაჯი** – *(არ დაჯდა)* ახმად-ხანიც და შამილიც – ორივენი ჩემი მტრები არიან. ახმად-ხანი მოკვდა და შურისძიება ვერ შევძელი. **შამილი** ჯერ კიდევ ცოცხალია და ისე არ მოკვდები, სამაგიერო არ გადაუხადო.

**ვორონცოვი** – დიახ, დიახ... რას აპირებთ? შამილს სამაგიეროს როგორ გადაუხდით? შეგიძლიათ დაჯდეთ.

**ჰაჯი** – შენისთანა საპატიო ადამიანის თანდასწრებით ვერ დავედები... *(პაუზა)* რუსების მხარეზე სწორედ იმიტომ გადმოვედი, შამილის განადგურებაში დაგეხმაროთ.

**ვორონცოვი** – კარგი... კარგი. მაინც... რისი გაკეთება გსურთ? დაბრძანდით...

**ჰაჯი** – *(დაჯდა)* თუ ლეკების ხაზზე გამგზავნი და ჯარს მომცემ, პირობას ვიძლევი, ავამხედრო მთელი დაღესტანი ისე, რომ შამილი ვერაფერს გახდეს.

**ვორონცოვი** – ეს კარგია... ეს შესაძლებელია... მოვიფიქრებ.

**ჰაჯი** – მაგრამ... ვიდრე ჩემი ოჯახი მტრის ხელშია და მთაში იმყოფება, ხელ-ფეხი შეკრული მაქვს და სამსახურიც არ შემიძლია. თავადლო, გამოიხსენი ჩემი ოჯახი, გაცვალე ტყვეებზე და მაშინ ან მოკვდები, ან ბოლოს მოვუღებ შამილს. გადამირჩინე ოჯახი, მერე მომეცი შენი სამსახურის საშუალება და თუ ერთ თვეში დიდ სამსახურს არ გაგიწევ, დამსაჯე ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევ.

**ვორონცოვი** – ეს სამართლიანად მეჩვენება. ჩვენთან, შეიძლება, ბევრი პიროვნება გამოჩნდეს, რომლებიც არც გენდობიან, ვიდრე თქვენი ოჯახი მთებში იქნება მძევლებად და არა ჩვენთან! გაირდებით, ყველაფერს გავაკეთებ ჩვენ საზღვრებზე ტყვეების შესაკრებად. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი წესდებით, უფლება არა მაქვს გამოსასყიდი ფული მოგცეთ იმაზე დასამატებლად, რასაც თვითონ იშოვნით, მაინც ვეცდები, დასახმარებლად რაიმე სხვა საშუალება გამოვნახო... მაგრამ... გულახდილად გეტყვით: შამილი არავითარ შემთხვევაში არ დაგებრუნებთ ოჯახს; შეიძლება, პირდაპირ გამოვიცხადოთ: შეცოდებებს

გაპატიებ, წინანდელ თანამდებობასაც დაგიბრუნებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთაში დაბრუნების პირობას მომცემო. ხოლო, თუ არ დაეთანხმებით, სიკვდილით დაემუქრება დელათქვენს, თქვენს მეუღლესა და ექვსივე შვილს. გულანდილად მიპასუხეთ, რას გააკეთებთ, შამილმა ასე რომ გამოგიცხადოთ?

**ჰაჯი** – *(თვალები და ხელები ზეცისკენ ალაპყრო)* ყველაფერი ღვთის ნებაა... მაგრამ მე არასოდეს დავუბრუნდები ჩემს მტერს, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, შამილი არ შემიწყნარებს და მალე გამომასალმებს წუთისოფელს. რაც შეეხება ჩემი ოჯახის განადგურებას, არა მგონია, შამილი ასე წინდაუხედავად მოიქცეს; ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მტერი უფრო თავგანწირული და საშიში არ გახადოს, მეორეც იმიტომ, რომ დაღესტანში ბევრია გავლენიანი პირი, რომლებიც ასეთ განზრახვაზე ხელს ააღებინებენ.

**ვორონცოვი** – და გგონიათ, შამილი ვინმეს დაუჯერებს?

**ჰაჯი** – იძულებული გახდება! *(პაუზა)* როგორც არ უნდა იყოს მომავლისათვის ღვთის ნება, ამჟამად მთელი ჩემი ფიქრი და გონება მიპყრობილია ოჯახის გამოსყიდვისაკენ; გთხოვ, დამეხმარე: ნება მომეცი, დავბრუნდე ჩეჩნეთში, სადაც რუსი უფროსების ნებართვითა და საშუალებით შევძლებ ოჯახს დავეუკავშირდე. იქ ცნობებსაც მივიღებ ოჯახის ნამდვილ მდგომარეობასა და გამოსყიდვის საშუალებებზეც. ამ საქმის მოგვარება შევბას მომიტანს და მომცემს რუსების სამსახურისა და ნდობის მოპოვების საშუალებას. ღვთის სახელით კიდევ ერთხელ გთხოვ, დამიხსენი ოჯახი და, ვიმეორებ, თუ ერთ თვეში დიდ სამსახურს არ გაგიწევ, დამსაჯე?!

**ვორონცოვი** – კარგი... კარგი... ვიფიქრებ, მანამდე კი, სანამ ჩემი მბრძანებლისაგან, ხელმწიფე-იმპერატორისაგან თქვენს შეწყალების ბრძანებას მივიღებ, მე ვკისრულობ თქვენს მიღებასაც და იმასაც, აქ ყოფნა თქვენთვის სასიამოვნო რომ იყოს.

*(ინტერმედია „ოპერაში“)*

## მექესე ეპიზოდი

*ჰაჯი-მურატის ოთახი. შემოდის ლორის-მელიქოვი.*

**ჰაჯი** – *(ფეხზე წამოდგა)* სალამ ალეიქუმ!

**მელიქოვი** – ალეიქუმ სალამ! მე მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტი ლორის-მელიქოვი გახლავართ.

**ჰაჯი** – ჩემი თავი და ხელებიც მზად არის ემსახუროს სარდარს.

**მელიქოვი** – თუმცა იცის შენი წარსული, თავადს მაინც სურს უშუალოდ შენგან მოისმინოს მთელი შენი თავგადასავალი. მომიყევი, მე კი ჩავწერ, რუსულად გადავთარგმნი და თავადი ხელმწიფეს გაუგზავნის.

**ჰაჯი** – *(ესიამოვნა. გაიღიმა)* ეს შეიძლება. საიდან დავიწყო?

**მელიქოვი** – სულ თავიდან: სად დაიბადე, სად ცხოვრობდი? *(ჩამოსხდნენ. მელიქოვმა უბის წივნიაკი და ფანქარი ამოიღო).*

**ჰაჯი** – დაწერე: დავიბადე ცელებესში, როგორც ჩვენთან იტყვიან, ვირის თავივით პატარა აულში. ჩვენგან ორიოდე გასროლის მანძილზე ხუნძახია, ხანების ადგილსამყოფელი. სულ სამი ხანი იყო – აბუნუნცალ-ხანი, ჩემი ძმადნაფიცი უმა-ხანი და უმცროსი ბულაჩ-ხანი, რომელიც შამილმა ხრამში გადააგდო. დედაჩემს უფროსი ხანისთვის ძუძუ უწოვებია და ამის გამო გავხდი ხანების ახლობელი. თხუთმეტი წლისა ვიქნებოდი, როცა აულებში მიურიდებმა დაიწყეს სიარული და გაჰყვიროდნენ: „მუსულმანებო ჰაზავათიო!“ ჩეჩნეთი მიურიდებს მიემხრო, მერე ავარიელებმაც დაიწყეს გადასვლა. მაშინ სასახლეში ვცხოვრობდი, ხანებთან ძმასავით ვიყავი და გაემდიდრდი კიდევ. ასე განცხრომით ვცხოვრობდი, ვიდრე იმამმა გამზათმა ხანებს არ შემოუთვალა, თუ ჰაზავათს არ მიიღებთ, ხუნძახს ავაოხრებო. აქ დაფიქრება იყო საჭირო, რადგანაც ხანებს რუსებისაც ეშინოდათ და ჰაზავათის მიღებისაც. ხანების დედამ უმა-ხანთან ერთად ტფილისში გამოგზავნა, რომ რუსების მთავარი უფროსისათვის, ბარონ როზენისათვის გამზათისგან დაცვა მეთხოვა. ბარონმა დიდხანს გვალოდინა და ბოლოს არც მიგვიღო, ისე შემოგვითვალა, დაბრუნდით, დაგეხმარებითო, მაგრამ არაფერი დახმარება არ გაუწევია. ვიდრე დავბრუნდებოდით, ჩვენთან როზენის ოფიცრებმა დაიწყეს სიარული და უმა-ხანთან ბანქოს თამაში. უმა-ხანს ღვინოს

ასმევდნენ და ბორდელებში დაჰყავდათ. რაც ებადა, რუსებთან ბანქოში წააგო. ხარვიით ღონიერი და ლომივით მამაცი კი იყო, მაგრამ სულიერად – წყალივით სუსტი. ტფილისიდან რომ არ წამომეყვანა, უკანასკნელ ცხენსა და იარაღსაც წააგებდა. იქ ყოფნის დროს აზრი შემეცვალა და როცა დაგბრუნდით, ხანებსა და მათ დედასაც ჰაზავათის მიღება ვურჩიე.

**მელიქ** – აზრი რატომ შეგეცვალა? რუსები არ მოგეწონა?

**ჰაჯი** – არა! არ მომეწონა!! გარდა ამისა, კიდევ ერთი რამის გამო ვამჯობინე ჰაზავათის მიღება.

**მელიქ** – ასეთი რა მოხდა?

**ჰაჯი** – ცელებსთან მე და ხანებს სამ მიურიდთან შეტაკება მოგვიხდა. ორი გაიქცა. მესამე დამბაჩით მოვკალი. იარაღის ასართმევად რომ მივედი, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მითხრა: „მომკალი, მაგრამ მე არა მიშავსო. შენ კი მუსულმანი ხარ, ახალგაზრდა, ღონიერი, ნუთუ ვერ მიმხვდარხარ, რომ ჰაზავათი უნდა მიიღო? ეს ღვთის ნებააო!“ და მოკვდა.

**მელიქ** – და შენც მიიღე?

**ჰაჯი** – ეგრევე არ მიმიღია. დავფიქრდი. როცა გამზათი ხუნძახს მოაღვა, მოხუცები მივუგზავნეთ, „ჰაზავათს მივიღებთ, ოღონდ მიღების წესები გვასწავლეთ-მეთქი!“ შემოგვითვლა, „გასწავლით, უმცროს ხანს მძევლად თუ გამოგვიგზავნითო“. ხანების დედამ დაუჯერა და გაგზავნა. მერე უფროსი ვაჟებიც მოითხოვა; დედამ, ამჯერად, საშუალო ვაჟი გაგზავნა, ორივეს გაგზავნა შეეშინდა. როცა გამზათმა მესამე ვაჟი მაინც მოითხოვა, ვთქვი, „თუ ასეა, თვითონ გამზათი წავიდეს ხუნძახში. იქ პატივით მიიღებენ-მეთქი!“ აქ პირველი შეგზახება მომიხდა შამილთან, რომელიც იქვე იდგა: „შენ კი არა, ხანს ეკითხებიანო!“ ელჩებმა ხანების დედას ურჩიეს, უფროსი ვაჟიც გაეგზავნა. აქ ღალატი შევნიშნე და ვუთხარი, არ გაეგზავნა, მაგრამ ქალებს იმდენი ჭკუა აქვთ, რამდენიც კვერცხს თმა. გაგზავნა, მეც თან ვახლდი. როცა გამზათის კარავში სროლა ატყდა, მივირბინე. უმა-ხანი სისხლის გუბეში ცურავდა... აბუნუნცალი კი მიურიდებს ებრძოდა. ნახევარი სახე ჩამოკვეთილი ჰქონდა. ცალი ხელით სახის ჩამოთლილი ნაწილი ეჭირა, მეორეთი კი ხანჯალს იქნევდა, ჩემს თვალწინ გამზათის ძმა მოკლა, მაგრამ მიურიდებმა ესროლეს და დაეცა. მე შემეშინდა და გავიქეცი... *(სახე ცეცხლივით აენთო. თვალებზე სისხლი მოაწვა)*

**მელიქ** – ნუთუ? მე კი მეგონა, შენ არასოდეს არაფრის გშინებია.

**ჰაჯი** – მერე – არასოდეს!! მას შემდეგ ხშირად მაგონდებოდა ეს სირცხვილი და მომაგონდებოდა თუ არა, აღარაფრისა მეშინოდა. ახლა კი კმარა, უნდა ვილოცო. *(ბრევეტი ამოიღო. ზამბარას დააჭირა. საათმა დარეკა)* ყონალ ვორონცოვის ფეშქეშია. ჩემი სოფლის ბულბულის გალობას მახსენებს.

**მელიქ** – კარგი საათია. მაშ, ილოცე. მე კი დაგელოდები.

**ჰაჯი** – იანში. *(მეზობელ ოთახში გავიდა. მელიქს მიუჩივებს შეულო კარი)*

**მელიქ** – სალამ ალეიქუმ. თუ შეიძლება. მითხარით, რაზე კამათობთ?

**ხან-მაგომა** – *(გამზალოზე)* ეს სულ შამილს აქებს. ამბობს, დიდი კაციაო, სწავლულიც, წმინდანიც, ჯივიტიც – ერთდროულად!

**მელიქ** – მაშ, რატომ წამოვიდა, თუ ასე აქებს?

**მაგომი** – წამოვიდა, მაგრამ აქებს.

**მელიქ** – *(გამზალოს)* მართლა მიგაჩნია წმინდანად?

**გამზალო** – წმინდანი რომ არ იყოს, ხალხი არ დაუჯერებდა.

**მაგომა** – წმინდანი შამილი კი არა, ჩვენი პირველი იმამი მანსურის იყო. მისი იმამობის დროს ხალხიც სხვაგვარი იყო. მანსურს აულებში ხალხი ჩოხის კალთებს უკოცნიდა, ცოდვებს ინანიებდა და ეფიცებოდა: ამიერიდან ცუდს არ ჩავიდენტო. მაშინ მთელი ხალხი წმინდანივით ცხოვრობდა: თუთუნს არ ეწეოდნენ. არ სვამდნენ, თავის დროზე ლოცულობდნენ, შეურაცხყოფას მიუტყეებდნენ ერთმანეთს და სისხლსაც კი შეარჩენდნენ ხოლმე. მაშინ ფულს ან ნივთს თუ იპოვიდნენ, ლატანზე აკრავდნენ და გზის პირას დებდნენ. ღმერთიც ხელს უმართავდა ხალხს... ისე კი არ იყო, როგორც ახლაა!

**გამზალო** – მთებში ახლაც არ სვამენ... არც თამბაქოს ეწევიან...

**მაგომი** – დედალია შენი შამილი!

**გამზალო** – არწივი გინდ დედალი იყოს, გინდ – მამალი. არწივები მთაში ცხოვრობენ!

**მაგომა** – ყოჩაღ, ეს კარგად მომიჭერი, მაგრამ ახლა სულ სხვაგვარად ვფიქრობ და რასაც ვფიქრობ, ვიტყვი კიდევაც.

**მელიქ** – ჩვენც გავვაგონე, ერთი, აბა, რას იტყვი?

**მაგომა** – რას ვიტყვი და... შამილი რომ ამბობდა თეთრიაო, ის შავია-მეთქი! და რასაც ის შავს უწოდებდა, თეთრია-მეთქი!



**მელიქ** – ასე რატომ იტყვი? სულ ახლახანს ხომ სხვაგვარად ფიქრობდი?

**მაგომა** – არა! ადრეც ასე მეგონა. *(მიურიდებზე)* ესენიც ასე ფიქრობდნენ.

**მელიქ** – თუ ადრეც ასე გეგონათ, რატომ არ ამბობდით შავზე – თეთრიაო? შამილი ცდებაო!

**გამზალო** – იმიტომ, რომ შამილი ძალიან ჭკვიანია. თანაც კეთილი. ასეთი კეთილი კაცი მსოფლიოში არ მეგულება. თანაც მთელი ცხოვრება სიამოვნება არ უნახავს, მხოლოდ ლოცულობდა. დამნაშავე თავისი შვილიც რომ ყოფილიყო, თავს წააგდებინებდა. აი, ამიტომ გვიყვარდა და ყველაფერს ვუჯერებდით.

**მელიქ** – მერე ამან რა მოგცათ?

**მაგომა** – მეც ამას არ ვამბობ?! თამბაქოს წვევა აგვიკრძალა, ქალებს ნუ შეხედავთ, არ დაეღუპარაკოთო! აბა, ეს შეიძლება?

**მელიქოფი** – არა! სამაგიეროდ, რა მაგრა გებრძოდით!

**ელდარი** – მართალია, მაგრა გებრძოდით, მაგრამ ახლა ჩვენ ეს აღარ გვჭირდება. შამილი ამბობდა: წიგნებში სწერია, იქ თუ წახვალთ, სადაც სახე და მკლავებშიშველი ქალები ცეკვავენ და ერთობიან, ჭერი თავზე დაემხოთ და გაისრისებითო?! აბა, ეს მართალია? ასეთ ადგილას ვიყავით და, დიდება ალაჰს, თავზე არაფერი დაგვმხობია.

**მელიქ** – ესე იგი, შამილი ადრეც ცდებოდა?

**გამზალო** – არა, მაშინ ის სწორად იქცეოდა. მაგალითი გნებავს, ახლავე მოგახსენებ: თამბაქოს წვევა აგვიკრძალა. იცი, რატომ? ჩვენი ხალხი ღარიბია. თამბაქო ჩვენში არ მოდის. ამიტომ ვყიდულობთ. კაცი წევას რომ შეეჩვევა, პურს აღარ იყიდის და თამბაქოში დაიხარჯება. ასევე ქალებთან ურთიერთობა და ცეკვა-არშიყიც იმიტომ აკრძალა, რომ ახალგაზრდებს საგუშაგო არ მეტოვებინათ და გასართობად არ გაპარულიყვნენ. მეომრები ისედაც ცოტა გყვავს.

**ელდარი** – ამდენხანს იმიტომაც ვერ დაგვამარცხეთ, რომ ასე მკაცრად ვცხოვრობდით და ყოველგვარი სიამოვნება დიდ ცოდვად მიგვაჩნდა.

**გამზალო** – ო, შამილი დიდი კაცია, ძალიან დიდი.

*(ჰაჯის ხმა მოისმა. ელდარი წამსვე ჰაჯის ოთახში შევარდა და მაშინვე დაბრუნდა)*

**ელდარი** – *(მელიქოვს)* ჰაჯი გეძახის. *(მელიქოვი ჰაჯის ოთახში შედის)*

**ჰაჯი** – მაშ, განვაგრძო?

**მელიქ** – დიახ. გისმენ.

**ჰაჯი** – ხანები რომ დახოცეს, გამზათი ხუნძახში შემოვიდა და ხანების სასახლე დაიკავა. ხანების დედა დაიბარა და როცა ქალმა ლანძღვა დაუწყო, მოაკვლევინა.

**მელიქ** – ქალი მაინც რილასთვის მოკლა?

**ჰაჯი** – ცალ ფეხს თუ გადააბიჯებ, მეორეც უნდა მიაყოლო. მთელი საგვარეულო უნდა ამოეწვევითათ და ასეც მოიქცნენ; როგორც გითხარი, შამილმა უმცროსი ხანიც ხრამში გადააგდო. მთელი ავარია გამზათს დაემორჩილა. მხოლოდ მე და ჩემს ძმას არ გვინდოდა ქელი მოგვეხარა. ჩვენ ხანების სისხლი უნდა აგველო. გადავწყვიტეთ, გამზათი სასახლიდან რომ გამოვიდოდა, საფარიდან მოგვეკლა. როგორც ჩანს, ვიღაცამ მოგვაყურა და დაგვასმინა. მან პაპაჩემი დაიბარა და გააფრთხილა: „თუ შენი შვილიშვილები მართლა ცუდ რამეს მიაბრებენ, ერთ სახრჩობელაზე ჩამოგვიდებთო. მე საღვთო საქმეს ვაკეთებ და ჩემი ხელის შეშლა არ შეიძლებაო“. გამზათი მეჩეთში მოვკალი, მაგრამ ამას ჩემი ძმა შეეწირა. მე კი ფანჯრიდან გადავხტი და გავიქეცი. მთელი ხალხი ფეხზე დადგა. მიურიდები გაიქცნენ, მაგრამ ვინც დარჩა, ხალხმა მუსრი გაავლო. ყველაფერმა ამან კარგად ჩაიარა, მაგრამ მალე გამზათის ადგილას შამილი დაჯდა. შემომითვალა, რუსების წინააღმდეგ გამომყევი, თორემ ხუნძახს ავაოხრებ და შენც ბოლოს მოგიღებო.

**მელიქ** – მასთან რატომ არ წახვედი?

**ჰაჯი** – არ შეიძლებოდა. ჩემი ძმისა და ხანების სისხლი ემართა. ეს რომ გაიგო, ბარონმა როზენმა ოფიცრის ჩინი გამომიგზავნა და ავარიის გამგებლობა ჩამაბარა. ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ როზენმა ავარიის ზედამხედველობა დაავალა ახმედ-ხანს, რომელსაც ვეძულდი. ხშირად აგზავნიდა ნუქერებს ჩემს მოსაკლავად, მაგრამ თავს ვალწევდი. როცა ახმედ-ხანს როზენთან ბეზლებით არაფერი გამოუვიდა, გენერალ კლუგენაუსთან ცილი დამწამა, თითქოს ვუბრძანე, რუსი ჯარისკაცებისათვის შეშა არ მიეცათ და თანაც ჩაღმა დავიხურე, ნიშნად შამილისკენ გადასვლისა. გენერალმა არ დაუჯერა, მაგრამ, როცა კლუგენაუ ტფილისში წავიდა, ახმედ-ხანი თვითნებურად მოიქცა, ასეული დამასია,

ბორკილები დამადლო. თემირ-ხანშურაში უნდოდა გადავეყვანე. ვიწრო ბილიკებით მივდიოდით. ორმოცი თოფგატენილი ჯარისკაცი მდარაჯობდა. გაქცევის მცდელობისას, ნაბრძანები ჰქონდათ, მოვეკალი. ორმოცდაათსაუენიანი ხრამის პირას მივდიოდით. ხრამში გადავხტი და ერთი ჯარისკაცი თან გადავიყოლე. ის მოკვდა. მე კი თავი, ნეკნები, ხელები, ფეხები დავიმტვრიე. ყველაფერი შემიხორცდა, მაგრამ ეს ფეხი დამიმოკლდა. თუმცა ძველებურად მემსახურება. როცა გამოვჯანმრთელდი, ავარიელებმა ისევ მთხოვეს მათი უფროსი გაემხდარიყავი და მეც დავთანხმდი. *(ხურჯინიდან ორი გაყვითლებული წერილი ამიიღო და ლორის-მელიქოვს ერთ-ერთი გაუწოდა).*

**მელიქი** – „პრაპორშნიკო ჰაჯი-მურატ! რამდენიმე ხნის წინ გენერალ-მაიორმა ახმედ-ხანმა დამარწმუნა, რომ მოლალატე ხარ და ხალხს რუსების წინააღმდეგ ამხედრებ. შენი დაჭერა ვებრძანე, მაგრამ გაიქეცი; არ ვიცი, მართალი ხარ თუ არა, მაგრამ თუ შენი სინიღისი რუსი მეფის წინაშე წმინდაა, გამოცხადდი ჩემთან. ნუ გეშინია. გენერალი კლუგენაუ“.

**ჰაჯი** – მივწერე: ჩალმას გულის საოხად რომ ვატარებდი. ხოლო შამილთან გადასვლა არც მინდა და არც შემიძლია, რადგან მისი წყალობით დაიხოცნენ მამაჩემი, ჩემი ძმა და ნათესავები. არც რუსებისკენ შემიძლია გადმოსვლა, რადგან, როცა ახმედ-ხანმა დამიჭირა და ზარბაზანზე მიმაჯაჭვა, ერთმა არამზადამ დამაფსა. სანამ ის კაცი ცოცხალია, ვერ გადმოვალ-მეთქი. მაშინ გენერალმა მეორე წერილი გამომიგზავნა. *(მეორე წერილს აძლევს)*

**მელიქი** – „წერილზე პასუხისათვის გმადლობ. გარწმუნებ: რუსული კანონი სამართლიანია და შენ თვითონ ნახავ იმის დასჯას, ვინც შეურაცხეყო. უკვე ვუბრძანე, გამოიდიონ ეს საქმე. უფლება მაქვს შენზე ნაწყენი ვიყო, რადგანაც ჩემი და ჩემი სინიღის-ნამუსისა არ გჯერა, მაგრამ მომიტყუებია, რადგანაც კარგად ვიცი მთიელთა ურწმუნო ხასიათი. რასაც მწერ თუ მართალია, თამამად შეგიძლია რუსეთის ხელისუფლებასა და მე თვალეში შემოგვხედო. ხოლო ის, ვინც შეურაცხეყო, გარწმუნებ, დაისჯება. ქონება დაგიბრუნდება. ნახავ და გაიგებ, რას ნიშნავს რუსული კანონი. ვიმეორებ: საშიში არაფერია. გელოდები.“

გენერალი კლუგენაუ“.

**ჰაჯი** – არ დავუჯერე. რაც ჩემთვის მთავარი იყო, რუსების დახმარებით ვერ ვიზამდი, ახმედ-ხანს ვერ მოვკლავდი. ამასობაში

ახმელ-ხანმა ჩემ სოფელს მაგარი ალყა დაარტყა. უნდოდა მოვეკალი. სწორედ ამ დროს შიკრიკმა შამილის წერილი მომიტანა. შამილი მპირდებოდა, ახმელ-ხანთან ბრძოლაში დაგეხმარებოდა. გამარჯვების შემთხვევაში მთელი ავარიის გამგებლობას მპირდებოდა. დიდხანს ვიფიქრე და გადავწყვიტე, შამილის მხარეზე გადავსულიყავი. აი, იმ დროიდან რუსებს დღედაღამ ვებრძოდი.

**მელიქ** – შენი ყოველი თავდასხმა განსაცვიფრებელი იყო.

**ჰაჯი** – მაგრამ ჩემსა და შამილს შორის არასოდეს ყოფილა მეგობრული დამოკიდებულება. ჩემი ემინოდა. ამავე დროს ვჭირდებოდი კიდევ. მაგრამ მოხდა ერთი შემთხვევა, რამაც საშუალოდ გაგვთიშა. მკითხეს: ვინ იქნება შამილის შემდეგ იმამიო? ვუპასუხე: ვისაც ხმალი უჭრის-მეთქი. ეს შამილს გადასცეს. მთელი მამულები წამართვა და ბოლოს დამიბარა, მოდიო. ვიცოდი, ნაღდად მომკლავდა და არ წავედი. პასუხმა არ დააყოვნა. დასაჭერად ხალხი გამომიგზავნა, მაგრამ თავი დავაღწიე და სემიონ ვორონცოვს ჩავებარდი. სამწუხაროდ, ოჯახის წამოყვანა ვერ შევძელი. თუ შეიძლება, შენც უთხარი სარდარს: სანამ ჩემი ოჯახი იქ არის, ვერაფერს გავაკეთებ. შეთოკილი ვარ და თოკის ბოლო შამილს უჭირავს.

## მეშვიდე ეპიზოდი

*მიხეილ ვორონცოვის კაბინეტი. ვორონცოვი წერილს კარნახობს ალიუტანტს.*

**ვორონცოვი** – რუსეთის სამხედრო მინისტრს ჩერნიშევს.

*(ფრანგულად)* უკანასკნელი ფოსტით, ძვირფასო თავადო, არაფერი მომიწერია თქვენთვის, რადგან, უპირველეს ყოვლისა, ვფიქრობდი, რა მოგვეხერხებინა ჰაჯი-მურატისათვის; გარდა ამისა, ორი-სამი დღე ისედაც თავს უქეიფოდ ვვრძნობდი. *(ქართულად)* რვა თუ ცხრა დღე მოლაპარაკება მქონდა და ვფიქრობდი, ბოლოს და ბოლოს, რისი გაკეთება შეეძლო ჩვენთვის. აგრეთვე, ვფიქრობდი, როგორ მოვქცეოდი ახლა, როცა ის ძალიან სწუხს თავის ოჯახზე. სანამ მისი ოჯახი შამილის ხელშია, ის პარალიზებულია. ჩემს

მიერ დანიშნული პირები, ვინც მასთან ცხოვრობენ, მარწმუნებენ, მთელი ღამეები არ სძინავს, თითქმის არაფერს ჭამს, მხოლოდ ლოცულობს და ერთს ითხოვს, რამდენიმე კაზაკთან ერთად ცხენით გამასეირნეთო. მისთვის ეს ერთადერთი გართობა და მოძრაობაა. ჩემთან ყოველდღე მხოლოდ იმის გასაგებად მოდის, მაქვს თუ არა რაიმე ახალი ცნობა მის ოჯახზე. უდიდესი წინდაუხედაობა იქნებოდა ჰაჯი-მურატს მთლიანად მივინდობოდი. მაგრამ მისთვის გაქცევის საშუალება რომ წაგვეერთმია, ციხეში უნდა ჩავვესვა. ეს კი, არაპოლიტიკური ზომა იქნებოდა. ეს ცნობა სწრაფად გავრცელდებოდა დაღესტანში და სურვილს ჩაუხშობდა ყველას (*იხილეთ ბევრი არიან*), ვინც მზად არის გაილაშქროს შამილის წინააღმდეგ. მათ ძალიან აინტერესებთ, რა მდგომარეობაშია იმამის ყველაზე მამაცი და გაბედული თანამემწე, რომელიც იძულებული გახდა ჩვენთან გადმოსულიყო. ჰაჯი-მურატს ტყვესავით რომ მოვქცეოდი, შამილისადმი მისი ღალატის სურვილი გაქრებოდა.

გთხოვთ, ძვირფასო თავადო, ჰაჯი-მურატის შეწყნარებისა და მისი ოჯახის დახსნის საქმე განსახილველად გადასცეთ მის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს. ბედნიერი ვიქნები, თუ ჩვენი უავგუსტოესი მბრძანებელი ჩემს საქციელს მოიწონებს.

ჰაჯი-მურატი გავაფრთხილე, რომ ნებადაურთველად არაფრის გაკეთება არ შეუძლია. არც არსად წასვლა. განუცხადე, რომ უძჯობესია ჩვენს ბაღრაგთან ერთად იაროს, თორემ შამილი გაავრცელებს ხმას – ჰაჯი-მურატი დაჭერილი ჰყავთო.

ერთადერთი, რაც მაფიქრებს ჰაჯი-მურატთან ურთიერთობის დროს, ეს არის მისი ერთგულება რელიგიისადმი. ჰაჯი-მურატი არც მალავს, რომ შამილმა შეიძლება ამ მხრივ იმოქმედოს მასზე. მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შამილი ვერასოდეს დაარწმუნებს ჰაჯი-მურატს, რომ სიცოცხლეს არ მოუსპობს ან ახლავე, ან მისი დაბრუნებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ.

აი, ყველაფერი, ძვირფასო თავადო, რაც მინდოდა თქვენთვის მეცნობებინა აქაურ ამბებზე!

პატივისცემით მიხაილ ვორონცოვი.

## მეორე მოქმედება მერვე ეპიზოდი

მასკარადი.

მეფე ნიკოლოზი კავალერგარდის ჩიტინი ჩაჩქანით დასეირნობს, მის გარშემო ხან მჭიდროდ შეიკვრება ხალხი, ხან შიშით გვერდს უვლიან. ნიკოლოზი ხელს უხეშად ჩასჭიდებს ერთ ნიღბოსან ქალს – „კოლომბინას“.

ნიკოლოზი – მომიტევეთ, კოლომბინა.

ქალი – (ვითომ შეკრთა) რა გნებავთ, კავალერგარდ?

ნიკოლოზი – ნუთუ ისეთი უყურადღებო ბრძანდებით, არ შეგიძინევათ, ჩიტინი ჩაჩქანით მასკარადზე ვინ ინიღბება?

ქალი – („გაიოცა“) ვინ ინიღბება?

ნიკოლოზი – ჩემთან თვალთმაქცობა ჯერ არცერთ ქალს არ გასვლია. ნიკოლოზი ვარ.

ქალი – (უფრო „გაიოცა“) ნიკოლენკა, შენა ხარ?

ნიკოლოზი – ვისთვის ნიკოლენკა და ვისთვის უავეუსტესი იმპერატორი!

ქალი – (სულ „გადაირია“) კმარა, ნიკოლია, ნუ მაშინებ!

ნიკოლოზი – (წამით მოიხსნა ნიღაბი და ისევ გაიკეთა) ხელმწიფე ვარ! ხელმწიფე!

ქალი – (რვეერანსით თითქმის იატაკს გაეკრა) თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ!!

ნიკოლოზი – (საპასუხო რვეერანსი) თქვენო უცრუპენტელესობავ! თქვენ ხომ არა ხართ ის „კოლომბინა“, წინა მასკარადზე რომ არ გამომიჩნდით და დღევანდელზე დამპირდით, შეგხვდებითო. (ქალს სურს უპასუხოს) კმარა. დაპირებას შესრულება ამშვენებს. გთხოვთ. (ლოჟაზე მიუთითა) გთხოვთ... (მიმოიხედა) კაპელდინერ! (კაპელდინერი არ ჩანს. ქალს ხელი არ გაუშვა, ფეხით შეაღო ლოჟის კარი და ქალი წინ გაატარა)

ქალი – (ფრანგ.) აქ ვილაც არის?

ნიკოლოზი – ჩემს ლოჟაში?! (სავარძელში ახალგაზრდა ზის. კალთაში დეკოლტეგადაღედილი ლამაზი ნიღაბმოსხნილი ქალი უზის და თავდავიწყებით ეფერება) შარმან! (ახალგაზრდები წამოხტებიან. ვაჟი გაიჯვიმება) რა გვარი ხარ?

ვაჟი – პოლოსატოვი, თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ!

**ნიკოლოზი** – ყოჩაღ! ისე სხარტად გაიჭიმე, სამხედრო სამსახური გენდომება?

**ვაჟი** – არა, თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ!

**ნიკოლოზი** – რეგვენო! მას, ეგ ლამაზი ქალიც ზედმეტია შენთვის...

**ვაჟი** – თქვენო, იმპერატორობითო...

**ნიკოლოზი** – ასე ნუ შეშინდი, ქალთან არ შერცხვე... არ ჩაიფსა...

აბა, ძმაო, შენ ჩემზე ახალგაზრდა ხარ... ადგილს დამითმობ?

*(ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ლოყიდან გაცვივდება)* მოდი, ჩემთან, გოგონა... *(კალთაში ჩაისვამს)* რა გქვია?

**გოგო** – კობერვეინი!

**ნიკოლოზი** – სადაური ხარ?

**გოგო** – შვედი.

**ნიკოლოზი** – მერე აქ რას აკეთებ?

**გოგო** – დედაჩემი გუვერნიორად მუშაობს დოლოგორუკებთან. მეც ვეხმარები.

**ნიკოლოზი** – რამდენი წლის ხარ? *(ეფერება)*

**გოგო** – ოცის. *(მოფერებას არ უშლის)*

**ნიკოლოზი** – მერე, ამდენ ხანს ვერ გაგათხოვა? *(დეკოლტეში ჩაუძვრა)*

**გოგო** – თვითონ არ მოვინდომე. *(არ უშლის)*

**ნიკოლოზი** – რატომ? რაიმე ნაკლი გაქვს?

**გოგო** – არა, თქვენო უდიდებულესობავ. უნაკლო, მოსიყვარულე, მაგრამ უმზითვო ქალწული გახლავართ. გვიჭირს.

**ნიკოლოზი** – ამდენ ხანს ქალწულად ვინ რეგვენმა დაგტოვა? დაბრმავდნენ კაცები?

**გოგო** – გეტყვით, მაგრამ ვშიშობ, არ დამიჯერებთ, ან პირფერობაში ჩამომართმევთ.

**ნიკოლოზი** – მართალში ვინ რას გაძლევს? რა ძალა გადგას იცრუო?

**გოგო** – დედამ თქვენი პორტრეტი საძილე ოთახში დამიკიდა და ბავშვობაშივე შემიყვარდით. მას შემდეგ გაღმერთებთ და თქვენზე ვლოცულობ. *(ნიკოლოზს სიამოვნებს)* როცა წამოვიზარდე, გადავწყვიტე, რაღაც უნდა დამჯდომოდა, თქვენი ყურადღება დამემსახურებინა. და აი, დღეს მივალწიე მიზანს. გეფიცვებით, ყოველივე წმინდას, რაც გამაჩნია, მეტი არაფერი მინდა...

ნიკოლოზი – *(დაუკრეფავში გადავიდა)* სულ არაფერი?

გოგო – სულ არაფერი.

ნიკოლოზი – მაშ, სულ არაფერი?!. *(ხანგრძლივი კოცნა)*

გოგო – ამის მეტი რაღა ვინატრო?

ნიკოლოზი – ლოჟის კარი ჩარაზე? *(გოგო კარს ჩარაზავს, იქიდან  
აკითხავს)*

გოგო – აქ, უავგუსტესო?

ნიკოლოზი – აქ, დიას, აქ, კოპერვეინ! *(ხელის ჩვეული მოძრაობით  
ლოჟის ფარდა ჩამოუშვა)*

*(შემოდის ჩერნიშევი. ფლიგელ-ადიუტანტი ფეხზე წამოუდგა).*

ჩერნიშევი – *(კაბინეტის კარზე ანიშნა ფრანგულად)* იმპერატორი  
აქ არის?

ადიუტანტი – *(ფრანგ.)* მისი უდიდებულესობა ეს არის დაბრუნდა.

ჩერნიშევი – მოახსენეთ. *(ადიუტანტი მოწიწებით შეაღებს  
იმპერატორის კაბინეტის კარს. შვეა. სწრაფად გამოვა და  
ანიშნებს, მიბრძანდითო).*

ადიუტანტი – გელოდებათ. *(ჩერნიშევი მეფეს ეახლება. მეფემ ცივად  
მიიღო)*

ნიკოლოზი – გისმენთ.

ჩერნიშევი – პირველი საქმე საინტენდანტო მოხელეების ქურდობას  
ეხება.

ნიკოლოზი – მასხოვს, მასხოვს. ღრმად ვარ დარწმუნებული,  
რომ ყველა ქურდობს. მაგ საინტენდანტო მოხელეებს დავსჯი,  
ჯარისკაცებად გავამწესებ, მაგრამ ვინც მოვა, განა იგივეს  
არ ჩაიდენს? რას ვიზამთ! ქურდობა მოხელეების თვისებაა.  
ჩემი მოვალეობა კი მათი დასჯაა. მომბეზრდა, მაგრამ მაინც  
კეთილსინდისიერად უნდა შევასრულო ჩემი ვალი. ყველა მოხელე  
ჯარისკაცად გამწესდეს! *(პაუზა)* ჩანს, ჩვენთან, რუსეთში მარტო  
ერთი კაცია პატიოსანი. *(საკუთარ პერსონაზე მიუთითა)*

ჩერნიშევი – ასეა, თქვენო უდიდებულესობავ!

ნიკოლოზი – დამიტოვე, რეზოლუციას დავადებ. კიდევ რა არის?

ჩერნიშევი – საქმე სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის სტუდენტის  
შესახებ.

ნიკოლოზი – რა მინდაო? *(ჩერნიშევმა მოხსენებითი ბარათი  
მიაწოდა)*

ჩერნიშევი – ახალგაზრდა კაცმა ორჯერ ვერ ჩააბარა გამოცდა  
და მესამეჯერაც რომ ჩაიჭრა, ნერვებაშლილმა სტუდენტმა



აქ უსამართლობა დაინახა, მაგიდიდან აიტაცა სკალპელი და რემდენიძე ადგილას უმნიშვნელოდ დაჭრა პროფესორი.

**ნიკოლოზი** – რა გვარია?

**ჩერნიშევი** – ბჟეზოვსკი.

**ნიკოლოზი** – *(ზიზღით)* პოლონელია?

**ჩერნიშევი** – დიას და კათოლიკეა.

**ნიკოლოზი** – ყველა პოლონელი არამზადაა. ცოტა ხანს დამაცადე.  
*(თვალები მოჭუტა)*

**წამყვანი** – როცა რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა უნდოდა, რამდენიძე წამით უნდა ჩაფიქრებულიყო. ამ დროს „ზეშთაგონება“ გადმოდიოდა მასზე და მხოლოდ ამის შემდეგ პოულობდა პასუხს და „ყველაზე სწორი დასკვნა“ თავისთავად მოდიოდა; თითქოს „შინაგანი ხმა“ კარნახობდა, რა გაეკეთებინა. ახლაც იმაზე ფიქრობდა, როგორ დაეკმაყოფილებინა პოლონელებისადმი აღძრული ბოროტების გრძნობა, რომელიც სტუდენტის ამბავმა გაუღვიძა.

**ნიკოლოზი** – *(აიღო მოხსენება და მიაწერა. ქაღალდი ჩერნიშევისკენ გასწია)* აი, წაიკითხე.

**ჩერნიშევი** – „სიკვდილით დასჯას იმსახურებს, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჩვენში სიკვდილით დასჯა არ არსებობს. და არც ჩემი საქმეა მისი შემოღება. თორმეტჯერ გაატარონ ათას კაცს შორის. ნიკოლოზი“. გაუბედავ და შეგახსენებთ, რომ ყველაზე ღონიერ აღამიანს ხუთი ათასი დარტყმაც ჰკლავს?!

**ნიკოლოზი** – *(ვითომ არც გაუგონია)* ყველა სტუდენტი გამოიყვანეთ მოედანზე. დასჯას დაესწონ! მათთვის სასარგებლოც იქნება. მე მოვსპობ, ძირფესვიანად ამოვიძირკვავ მათ რევოლუციურ სულს.

**ჩერნიშევი** – მესმის. *(ადგილიდან არ იძვრის)*

**ნიკოლოზი** – *(მობეზრებით)* კიდევ გაქვთ რაიმე?

**ჩერნიშევი** – კავკასიიდან ფელდეგერია ჩამოსული. ვორონცოვი ჰაჯი-მურატის გადმოსვლაზე იწერება. მისი გამოყენება კავკასიაში უნდა.

**ნიკოლოზი** – ოჰო! კარგი დასაწყისია.

**ჩერნიშევი** – ჩანს, თქვენი უდიდებულესობის გეგმას ნაყოფი გამოაქვს. თქვენი გეგმით დიდი ხნის წინათ რომ ეხელმძღვანელოთ, თუნდაც ნელა გვევლო წინ, გვეჩება ტყე, მარავი გაგვენადგურებინა, კავკასია დიდი ხნის დაპყრობილი გვექნებოდა. ჰაჯი-მურატის

გადმოსვლა მხოლოდ ამ ასპექტში მესმის. ეტყობა, მიხვდა, მეტი წინააღმდეგობა რომ აღარ შეიძლება.

**ნიკოლოზი** – მართალია. მიხვდებოდა.

**ჩერნიშევი** – ვორონცოვს რა მივწერო?

**ნიკოლოზი** – მტკიცედ შეასრულოს ჩემი სისტემით აულების რბევა, სურსათ-სანოვავის განადგურება და მოსახლეობის აწიოკება ჩეჩნეთში.

**ჩერნიშევი** – ჰაჯი-მურატზე რაღას მიბრძანებთ.

**ნიკოლოზი** – ვორონცოვი ხომ იწერება, კავკასიაში გამოვიყენებო?!

**ჩერნიშევი** – ვშიშობ, მიხეილ სემიონიჩი მეტად გულუბრყვილო კაცია. ჯერ იყო და უფროსების დეუდევრობით მთიელებმა თითქმის მთლიანად განადგურეს ისედაც მცირე კავკასიური რაზმი. ახლა კი ჰაჯი-მურატს დავტოვებო. ვორონცოვი ყოველთვის, განსაკუთრებით ჩვენი, რუსების საზიანოდ მფარველობს და იწყნარებს ადგილობრივ მოსახლეობას. ჰაჯი-მურატის კავკასიაში დატოვებაც უგუნური საქციელია. ჰაჯი-მურატი უთუოდ ჩვენი თავდაცვის საშუალებების დასაზვერად გადმოვიდა. ამიტომ უძვობესი იქნება, რუსეთის ცენტრში გავვზავნოთ და მხოლოდ მაშინ გამოვიყენოთ, როცა მის ოჯახს გამოვიხსნით და ჰაჯი-მურატის ერთგულებაშიც დავრწმუნდებით.

**ნიკოლოზი** – ჩერნიშევი, რატომ ცდილობთ ვორონცოვის ყოველი განკარგულების გაპამპულებას? ვერ გამოვია. მე კი ვორონცოვს ვეთანხმები და ასეც მისწერე.

**ჩერნიშევი** – მესმის.

**ნიკოლოზი** – ახლა, როცა ჰაჯი-მურატი გადმოვიდა, საჭიროა ჩეჩნეთზე გაძლიერებული თავდასხმები და კორდონის ხაზით მისი შევიწროება. მისწერეთ, განაგრძონ რბევა! დღესვე, ახლავე მისწერეთ! ამას იმიტომ ვბრძანებ, რომ საჭიროდ მიმაჩნია და ამაზე მსჯელობის უფლებასაც კი არავის მივცემ! თავისუფალი ბრძანდებით! (*ჩერნიშევი გადის*) ეჰ, რა იქნებოდა ახლა რუსეთი, მე რომ არ ვყოფილიყავი. კოპერვეინ, კოპერვეინ! (*ადიუტანტს*) დოლგორუკის გუვერნიორს ჩემი განსაკუთრებული ფონდიდან ყოველწლიური პენსია დაუნიშნეთ.

**ადიუტანტი** – მესმის. (*გადის*)

**ნიკოლოზი** – კოპერვეინ! კოპერვეინ! საძაგლობაა, საძაგლობა! პოლონეთი და კავკასია რუსეთის ორი დიდი მუწუკია, ჩვენ, სულ

ცოტა, ასი ათასი კაცი გვჭირდება თითოეულ ამ ქვეყანაში... რა იქნებოდა ახლა რუსეთი, მე რომ არ ვყოფილიყავი. (პაუზა) რა იქნებოდა უჩემოდ არა მარტო რუსეთი. ევროპაც... ევროპაც!

**წამყვანი** – ნიკოლოზის ამ მოწერილობის შესასრულებლად 1852 წლის იანვარში ჩეჩნეთზე გააგებული თავდასხმა მოაწყვეს. თავდასხმისას დარბეული აული სწორედ ის აული იყო, რომელშიც ჰაჯი-მურატმა რუსებთან გადასვლის წინა ღამე გაათენა. გაჩანაგებული აულის უხუცესები, რადგანაც არც ქონები ჰქონდათ და არც მეჩეთი, მოედანზე შეკრებილიყვნენ და ჩაცუცქულები თავიანთ მდგომარეობაზე ბჭობდნენ. რუსებისადმი სიძულვილზე არავინ იღებდა ხმას. გრძნობა, რომელსაც დიდიდან პატარამდე ყველა ჩეჩენი განემსჭვალა, სიძულვილი არ იყო, რადგან ჩეჩნებს ეს რუსი ძაღლები ადამიანებად არც მიაჩნდათ. რუსები, მათი უაზრო სისასტიკის გამო, ისეთ საზიზღარ და საძაგელ არსებად ესახებოდათ, რომ მათი გაჟლეტის სურვილი, ისევე, როგორც სურვილი ვირთაგების, შხამიანი ობობებისა და მგლების გაჟლეტისა, თავდაცვის გრძნობასავით ბუნებრივ გრძნობად ექცათ.

## მეცხრე ეპიზოდი

*შამილის საცხოვრებელი. შამილს ელოდება ჯემალ-ედინი. ისმის სროლა და სიმღერა: „ლა ილაზა ილ ალა!“ შემოდის შამილი. ხანმოკლე ლოცვის და მისაღობების მერე...*

**შამილი** – შინ ხომ მშვიდობა დამახვედრე, სიამარო?

**ჯემალ** – მშვიდობაა, მშვიდობა ნუ მოგიშალოს ალაჰმა! რატომ დაიგვიანე, შამილ? უკვე სამი დღეა ხალხი შენს სამართალს ელოდება. ახლა დასვენება და თვალის მოტყუება არ გაწყენდა, მაგრამ...

**შამილი** – შენც კარგად იცი, ჯემალ-ედინ, ამაზე ფიქრიც არ შეიძლება. ვისმენ.

**ჯემალ** – სისხლის აღების ნიადაგზე ისევ მოხდა მკვლელობა!

**შამილი** – ვინ გამიბედა?! სისხლის აღება რახანია ავკრძალე! თავი მოჰკვეთეთ!

**ჯემალ** – აღსრულდება! საქონლის ქურდობის ორი შემთხვევა გვექონდა.

**შამილი** – ორივეს მარჯვენა მოჰკვეთეთ!

**ჯემალი** – შამილ...

**შამილი** – *(ხელის აღებით შეაჩერა)* დანარჩენი თარიკათის კანონის დარღვევა, ღვინის სმა და თამბაქოს მოწევა იქნება, ვიცი. წახდა მთიულეთი! ეგენი შეიწყალეთ!

**ჯემალი** – ვხედავ, არ დადლილხარ, მაგრამ დაძაბული ჩანხარ. გამარჯვებით დამთავრებულმა ლაშქრობამ გაწყინა?

**შამილი** – მართალია, რუსებმაც აღიარეს ამ ბრძოლაში ჩემი გამარჯვება, მაგრამ ჩემთვის ეს გამარჯვება დამარცხების ტოლფასია. რუსებმა ჩეჩნების ბევრი აული გადაწვეს და ააოხრეს. ცვალებადი ხასიათის ქარაფშუტა ჩეჩენი ხალხი მერყეობს. რუსებთან ახლოს მცხოვრებნი უკვე მზად არიან მტრისკენ გადავიდნენ. აი, რა მძაბავს და რა მაწუხებს.

**ჯემალი** – სწორედ მაგ გადასვლის აღსაკვეთად შევადგინე ეს მიმართვა. მოუსმინე. თუ მოგეწონება, ხელი მოაწერე და დღესვე გავავრცელებ! *(გაუწოდა)*

**შამილი** – *(არ გამოართმევს)* წამიკითხე!

**ჯემალი** – „რუსები შემოვიდნენ ქვეყანაში. ლაჩრულად უომრად დაემორჩილეთ მათ. თავისუფალი მუსულმანი გახდა მონა ურწმუნოთა. ვიცი, რომ რუსები გეფერებიან და მორჩილებისაკენ მოგიწოდებენ. ნუ დაუჯერებთ მათ და ნუ დაემორჩილებით. მოთმინება იქონიეთ. თუ ამისათვის ამ ცხოვრებაში ვერ დაჯილდოვდებით, ჯილდოს მომავალში მიიღებთ, ღმერთს ეს რომ არ შთაეგონებინა თქვენთვის, ახლა ხანჯლების ნაცვლად ხიშტები გეჭირებოდათ, ხოლო თქვენი შეურაცხყოფილი ცოლები უშარვლოდ ივლიდნენ. აჯობებს, რუსების მტრებად დაიხოცოთ, ვიდრე ურწმუნოებთან იცხოვროთ. მოთმინება იქონიეთ, ხოლო მე ყურანითა და ხმლით წარგიძღვებით რუსების წინააღმდეგ. ახლა კი სასტიკად გიბრძანებთ: არათუ განიზრახოთ, ფიქრადაც არ გაივლოთ, რუსებს დაემორჩილოთ. გისურვებთ ყოვლისშემძლე ღმერთთან მარადიულ სიმშვიდეს. შამილი.“

**შამილი** – კარგია. *(ხელს მოაწერს)* დღესვე დაგზავნე. *(პუშა)* კიდევ არის რამე?

**ჯემალი** – სანამ შენ იბრძოდი, ჰაჯი-მურატმა კაცები შემოგზავნა თავისი ოჯახის რუსებთან გადასაყვანად, მაგრამ ეს ამბავი ადრე

შევიტყვეთ და მისი მთელი ოჯახი – დედა ფატიმათი, ორივე ცოლი და ექვსივე შვილი კოშკში გამოკეტეთ და გუშაგებიც დაუუყენეთ. უფროსი ვაჟი 18 წლის იუსუფი ერთ საყენზე უფრო ღრმად ამოთხრილ ორმოში ჩავსვით. შენს განაჩენს კელოდებით.

**შამილი** – ჰაჯის საქმე ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჰაჯი-მურატი თავისი ჭკუით, სიმარდით, გამბედაობითა და სიმამაცით ჩემთან რომ ყოფილიყო, შესაძლოა, ასეთი რამ არ დამმართნოდა ჩეჩნეთში.

**ჯემალი** – კარგი იქნებოდა, ჰაჯის შერიგებოდი, მისი დახმარებითაც გესარგებლა, მაგრამ თუ ეს შეუძლებელი გავხდება, არც ის უნდა მოვითმინოთ, რუსებს ხელი წაუკრას. ყოველგვარი ღონე უნდა ვინმართ, გადმოვიტყუოთ და აქ გავუსწორდეთ.

**შამილი** – საამისოდ საუკეთესო საშუალებაა – ტფილისშივე მიუვუზავნოთ მკვლელი.

**ჯემალი** – ან გამოვიტყუოთ... აქ გავუსწორდეთ. ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მხოლოდ მისი ოჯახი შეიძლება გამოვიყენოთ, უმთავრესად, მისი ვაჟი – იუსუფი. ჰაჯი-მურატს იუსუფი ძალიან უყვარს, თავს ურჩევნია.

**შამილი** – ვიცი... ვიცი... საქმის გადადება არ მიყვარს... იუსუფი მომიყვანეთ!

**ჯემალი** – აქ გახლავთ! *(გახსახა)* მურატის შვილი შემოიყვანეთ! *(შემოჰყავთ იუსუფი, იუსუფი შამილის დანახვაზე ერთხანს გაშეშდა, მერე მივარდა და ხელზე ეამბორა)*

**შამილი** – მურატის შვილი ხარ?

**იუსუფი** – გახლავარ, იმამო!

**შამილი** – შენ იცი, რა ჩაიდინა მამაშენმა?

**იუსუფი** – ვიცი, იმამო, და ვწუხვარ. მე არ ვიზიარებ მამაჩემის გრძნობებს შენს მიმართ. შეიძლება ყველაფერი არ ვიცი, რაც წარსულში მოხდა, ან ვერ განვიცდი, ან არ მესმის... არა მგონია, შენდამი მტრობას გადაეყვანა რუსების მხარეს...

**შამილი** – წერა იცი?

**იუსუფი** – ვემზადებოდი... მოლა უნდა გავმხდარიყავი.

**შამილი** – მაშ, მისწერე მამაშენს: თუ ბაირამობამდე ისევ უკან გადმოვა, ვაპატიებ და ყველაფერი ძველებურად იქნება. თუ უარს მეტყვის და რუსებთან დარჩება, მაშინ... ბებიაშენს და დედაშენს აულებში ვათრევ, შენ კი თავს წაგაცლი. *(იუსუფის*

სახეზე ერთი ნაკვთიც არ შეთრთოლდა) ასე დაწერე და ჩემს რწმუნებულს გადაეცი. (იუსუფი ჩუმად არის. პაუზა) მისწერე, რომ შეგებრალე და კი არ მოგკლავ, თვალებს დაგთხრი, როგორც ყველა მოღალატეს. წადი! (იუსუფი თანშლღებს ქარქაშიდან იარაღს ამოაცლის და თავის მოკვლას ცდილობს, მაგრამ გააკოჭავენ) გაიყვანეთ! თვალი არ მოაცილოთ, თორემ ჰაჯი-მურატი ამ ლეკვის სიკვდილს მე დამაბრალებს და ქვეყანას შემიყრის. მტერი ისედაც არ მაკლია.

**ჯემალი** – ვაჟკაცი მამა ჰყავს და კარგადაც გაუზრდია. მაგრამ გული მაინც ამიჩუყა.

**შამილი** – ჩემ შვილს რუსები სულს რომ უხუთავენ, ამაზე არ გიჩუყდება გული?

**ჯემალი** – განა არ იცი, რა ბედნიერია შენი შვილი? მეფურად ზრდიან და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებენ.

**შამილი** – ასე თუ გაგრძელდა, ჩემი შვილი გაიურად მოიქცევა, დაიღუპება და მეც დამღუპავს. იმას არაბულისა და ალ-ყურანის ცოდნის გარდა არაფერი უნდა. ღმერთი ყველა ჩვენგანზე ჭკვიანია. მან გვიწყალობა ეს წმინდათაწმინდა წიგნი. რაც ჩვენ გვინდა, ყველაფერი არის შიგნით; ხოლო რაც არ არის, ის არც გვინდა.

**ჯემალი** – შამილ, ყური მიგდე. მე აღრე გირჩიე და მკაცრადაც ავიკრძალე რუსების წინააღმდეგ იარაღის აღმართვა, მაგრამ ჩემი ღარიგება არ შეისმინე. გაგაფრთხილე კიდევ: ამას შეიძლება შენი აღსასრულიც მოჰყვეს-მეთქი. გირჩევ, ახლა მაინც შესწვეიტო ომი...

**შამილი** – არა!

**ჯემალი** – კარგად დაფიქრდი და ისე მიპასუხე.

**შამილი** – არა-მეთქი!

**ჯემალი** – თუ არ გსურს, ის მაინც არ დაივიწყო, რასაც ახლა გეტყვი: წყეულიმც იყავ ღვთისა და მისი დიდი წინასწარმეტყველისგან, თუ ოდესმე შენ ან შენი მიურიდი გაძარცვავს მუსულმანს – თუნდაც რუსთა მიერ დამორჩილებულს.

**შამილი** – ჯემალ! ეგ არ მოხდება!

**ჯემალი** – წყეულიმც იყავ შენ, თუ იმამობის ღროს უგულბებლყოფ წესებს და ხელისუფლების მოპოვებას ანაცვალებ ჩვენს წმინდა მონაპოვარს.

**შამილი** – გაჩუმდი! არც ეგ მოხდება!

**ჯემალი** – წყეულიმც იყოს ყველა, შენ რომ გარს გახვევია და გემსახურება არა როგორც ჭეშმარიტი მიურიდი, არამედ შოვნის, გამოძალვისა და სისხლისღვრის წყურვილით შეპყრობილი.

**შამილი** – გვიანდაა, ჯემალ-ედინ!

**ჯემალი** – მე ღერვიში ვარ, თანაც მოლა და ვიცი, რომ ჩვენ და რუსები ერთმორწმუნენი არა ვართ, მაგრამ ჩვენ, ყველანი, ერთმა შემოქმედმა შეგვკქმნა და ამიტომ ცოდვა იქნება ვწყევლოთ და ვზოცოთ ერთმანეთი. ალაჰია ყველა ჩვენთაგანის შემწე. *(პაუზა)* ახლა წავალ, მოისვენე... *(გადის. შამილი ტახტზე ჩამოჯდება. ჯემალი – ყურანს გადაშლის. შემოიპარება ანა. შამილი გაიგონებს ფეხის ხმას, მაგრამ ქალს დააცდის, ჩანაფიქრი აისრულოს. ანა შამილს ზურვიდან მიეპარება და თვალებზე ხელებს ააფარებს)*

**შამილი** – *(არც შერხეულა)* რომელი ხარ?

**ანა** – უკვე ხელების შეხებითაც ველარა მცნობ? ზაიდეთი ვარ, ზაიდეთი.

**შამილი** – ზაიდეთს ასეთი ხავერდოვანი ხელები აღარა აქვს, დაბერდა.

**ანა** – მე თუ ყველაფერი ხავერდოვანი მაქვს, იმიტომაც მათამამებ, არა?

**შამილი** – რა დაგაკელი?

**ანა** – კარგად იცი...

**შამილი** – ანა ულუხანოვა, სულ გადაკვრით და სულ თქვენებურად უნდა მელაპარაკო?

**ანა** – შენი გულისთვის გადავივიწყე სარწმუნოება, სამშობლო და ყველა ჩემი მოკეთე. მთელი არსებით მოგენდე შენ, ჩემი, ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთ პირველ მტერს, იმამ შამილს... მუსულმანურად ვლოცულობ, შენს მშობლიურ ენაზე გეფერები, შენ კი...

**შამილი** – რა დავაშავე? თუ რამე გამომრჩა, ამ გაუთავებელი ბრძოლისა და რუსებთან შეხლა-შემოხლის ბრალი იქნება. დავიღალე. შინ მაინც მომასვენე. მოდი, მომეფერე, სულზე უტკბესო.

**ანა** – ეგ ენა არა გქონდეს, მგლები შეგჭამდნენ.

**შამილი** – მივხვდი, რატომაც მიბრაზდები.

**ანა** – აბა, რატომ?

**შამილი** – აბრეშუმის საკაბე შენ კი არა, ზაიდეთს რომ ვაჩუქე!

**ანა** – მერე? ეგ შეცდომა განგებ, ჩემს გასაბრაზებლად ჩაიღინე?

**შამილი** – არა. წესია ასეთი. საკაბე იმისთვის, უფროსი ცოლისთვის, უნდა მიმეცა. შენ კი აი, რა უნდა გაჩუქო. *(განჯინიდან ზარდახშას გამოიღებს. გადახსნის. შივ სამკაულები და ოქროს თუმბიანები. თავზე დააყრის)* მოგწონს? მოდი, ახლა მაინც მომეფერე.

**ანა** – *(არაფერს შეიძინებს. ციკად)* ჩემს ალერსს ვერ ეღირსები...

**შამილი** – რატომ? კიდევ რაიმე ბრალი მიმიძღვის?

**ანა** – ჩემს ალერსს ვერ ეღირსები, სანამ...

**შამილი** – სანამ?

**ანა** – არ იცეკვებ?

**შამილი** – რაო? რა დროს ცეკვაა?

**ანა** – ვითომ რატომ?

**შამილი** – რა დროს ჩემი ცეკვაა?

**ანა** – *(ძღერის და ტაშს სცემს)* „შამილი შევიდა საყდარში, ჩუმჩაირა ჩაირა...“

*(შამილი არ ინძრევს. ანა გახელდა სიმღერაში. კაბას გაიხდის და შარვლის ამარა რჩება. შამილი ანასკენ გაიწევს. მათი მოძრაობანი ანაზღად ცეკვაში გადაიზრდება. შამილი ცეკვავს ლამაზად და ვატაცებით. ანა ჯერ დაუწოტებს, შემდეგ ფეხებზე ეხვევა შამილს)*

**წამყვანი** – როცა ომით დაღლილი შამილი ტყვედ ჩასაბარებლად მიდიოდა, მისმა უერთგულესმა და შელაზღანდარებულმა თანამებრძოლმა ბაისანგურმა დაუძახა: „შამილი!“ შამილმა არ მოიხედა. „შამილი! შამუელი!“ – ისევ დაუძახა ბაისანგურმა. პასუხი კვლავ არ იყო, მაშინ ბაისანგურმა ღამბაჩა ძირს დაუშვა. შემდგომ, როცა რუსის ოფიცრებმა ჰკითხეს, თუ გადაწყვიტე, რატომ არ ესროლეო, ბაისანგურმა უპასუხა: „იმიტომ, რომ არ მოიხედა!! ჩეჩენი ზურგში არასდროს არვის ესვრის! ეს ჩეჩენთში ბავშვმაც კი იცის“.

**მეფე** – ძლიერ მოხარული ვარ, რომ შენ, ბოლოს და ბოლოს, რუსეთში ხარ. ვწუხვარ, ეს ადრე არ მოხდა...

**შამილი** – რომ მცოდნოდა, აქ ასე კარგად თუ ვიცხოვრებდი, დაღესტნიდან კარგა ხნით ადრე გამოვიქცეოდი. თანაც ჩემმა ხალხებმა მიღალატეს; თანამებრძოლები მიმოიფანტნენ. მეც გადავიღალე, მოვზუციდი კიდევ. წვერი კი მაქვს შავი, მაგრამ ჭალარა ვარ. ხუმრობაა: სამოცდასამი წლისა შევიქენი. აქედან ოცდაათი წელი რელიგიისათვის ვიბრძოდი!

**მეფე** – რელიგიისთვის? *(პაუზა)* ახლა თუ იომებდი რუსეთთან?



**შამილი** – ვიომეზდი! ოლონდ კაკასიაში – აღარ! იმ ბოროტებისათვის, რაც მოგაყენეთ, სიმართლეს უნდა ითქვას, ნაწილ-ნაწილ უნდა აგეკუწეთ. თქვენ კი ძმასავით მექცევით. ეს ძალიან მსიამოვნებს, მაგრამ ამას არ ველოდი და მრცხვენია. თვალს ვერ ვისწორებთ. და მოხარული ვიქნებოდი, მიწა გასკდეს და თან ჩამიტანოს.

**მეფე** – მონანიებას ნუ დააპირებ. შენ საქმეს მე მოვავგარებ და მეგობრულად ვიცხვრებთ. ეს აღრეც მინდოდა დავით ჭავჭავაძისა და ილიკო ორბელიანის ოჯახების, აგრეთვე, ორასი კახელი გლეხის გამოსასყიდად ორმოცი ათასი მანეთი რომ გადავიხადეთ, თექვსმეტი ტყვე და, რაც მთავარია, შენი **ვაჟი ჯემალ** ედ დინი რომ დაგიბრუნეთ. იმედიც კი მოგვეცა, რომ სწორედ ამ მეგობრული ურთიერთობის შედეგად შესაძლებელი გახდებოდა კავკასიის ომის დამთავრება – შენთვის და შენი თავმოყვარეობისთვის ხელსაყრელ პირობებში.

**შამილი** – მართალია. ამის შემდეგ ჩვენ შორის, როგორცა ბრძანეთ, ერთგვარი მეგობრული ურთიერთობა დამყარდა კიდევ.

**მეფე** – ბარონი ნიკოლაი მატყობინებდა: შემთხვევა მომეცა შამილის მიმართ თავაზიანობა გამოემჩინაო. ერთხელ მის ლეიბ-ვაჭარს ნება დავრთე, ხასავიურტში ათას ხუთასი მანეთის საქონელი ეყიდა. ორჯერ მის მიურიდებს ტყვე ცოლები ვანახეო. ეგონა, ამ გზითაც შეიძლებოდა დამყარებულიყო გულითადი თანხმობა ჯერ თქვენსა და ნიკოლაის შორის, შემდგომ კი, უფრო საფუძვლიანი შედეგი მიგველო, თუ ხელსაყრელ პირობებში ნაყოფის მომწიფების დრო მოვიდოდა.

**შამილი** – ვერ მოვიდოდა, რადგან რუსეთში სხვა ხალხის ისტორიისა და ზნე-ჩვეულებების პატივისცემა აზრად არავის და არასოდეს მოსვლია. ლაპარაკი ყოველთვის დაუმორჩილებელთა დაპყრობაზე, შემოერთებასა და განადგურებაზე იყო.

**წამყვანი** – ოდითგან ასე ხდებოდა: რომ გაეგოთ, რა მდგომარეობა იყო კავკასიაში, ყველაზე მაღალ მთაზე აღიოდნენ და ჩეჩნეთისაკენ იცქირებოდნენ. თუ იქ ცეცხლი არ მძვინვარებდა, ესე იგი, კავკასიაში სიწყნარე სუფევდა.

**შამილი** – თქვენ კი კავკასია გადასახლების ზონად აქციეთ.

**მეფე** – არაფერიც. კავკასიაში გადასახლება უმეტესობისათვის კავკასიასთან ომში მონაწილეობა იყო. ლერმონტოვიც კი გავიმეტეთ და გადავასახლეთ!

**შამილი** – პოეტს რაღას ერჩოდით? თქვენ კავკასიაში იმხელა ჯარი გეღვათ, ნაპოლეონის დასამარცხებლად რომ აამოქმედეთ, მაგრამ ნაპოლეონის დამარცხებას თუ წელიწად-წელიწადნახევარი მონადომეთ, ჩვენთან ათწლეულობით იბრძვით. იმიტომ, რომ სასტიკი წინააღმდეგობა შეგხვდათ. მიუხედავად იმისა, რომ რუსები აჩანაგებდნენ და ნაცარტუტად აქცევდნენ დაპყრობილ ტერიტორიებს, ჩენები მაინც ღირსეულად ომობდნენ: მტრის გვამებს არ აგინებდნენ, საკმაოდ ჰუმანურად ექცეოდნენ ტყვეებს, რის გამოც რუს სალდათებს ტყვედ დანებებისა არ ეშინოდათ.

**წამყვანი** – ბესტუჟევი-მარლინსკი წერდა: „სოფლებში რომ შემოიჭრებოდნენ, ჩენებს მიჰქონდათ რაც ხელში მოხვდებოდათ ან ძვირფასად ეჩვენებოდათ. არც სახლებსა სწვავდნენ, არც ზვინებს და არც ბალ-ვენახებს სჩეხავდნენ. „რა საჭიროა ღმერთის ნაწყლობევისა და ადამიანის ნაშრომის განადგურებაო?“

**მეფე** – ჩვენ მაინც გავიმარჯვეთ და ნახეთ, რა მოხდა? უმოკლეს ვადაში ჩვენ კავკასიელების ნდობა დავიმსახურეთ. შენი ერთი ვაჟი მეფის გენერალი გახდა. ჩენები ჩვენი, მონარქების პირადი დაცვაა. სტალინსაც კი ჩენები ჰყავდა დაცვაში. მეფე საკუთარ თავსა და შვილებსაც რუსებს კი არა, ჩენებს ანდობს. და ეს თითქმის იმწამსვე ხდება – გამარჯვებულთა მეორე თაობაში!! ეს ფანტაზია კი არა – რეალობაა! თქვენ უჩვენოდ ცხოვრება არ შეგიძლიათ...

**შამილი** – ეს დროებითი წარმატებაა, რომელიც ბოლოს და ბოლოს მარცხით მთავრდება. ხალხის ძალით დამორჩილება შეუძლებელია. ყოველი ჩენენის სახლის თავზე რუსული დროშა რომ ააფრიალოთ, მშვიდობა ამ მრავალტანჯულ მიწაზე მაინც არ დადგება, რადგანაც თითოეული დროშის დასაცავად რუსის ჯარისკაცი უნდა დააყენოთ.

**წამყვანი** – აღგავეს რა პირისაგან მიწისა ქალაქები და სოფლები, რუსები აცხადებენ ჩენეთს ვანთავისუფლებითო.

**შამილი** – ომი ჩვენი არჩევანი არ ყოფილა; ჩვენ იძულებული გავხდით, თავი დაგვეცვა.

**წამყვანი** – სიმართლეს თუ ვიტყვით, რუსის ჯარმა მთლიანად დაიპყრო ჩენეთი; ყველაფერს მისწვდნენ, ყველგან შეაღწიეს, დანგრეეს ყველაფერი, რაც შეიძლებოდა დანგრეულიყო. რუსებს ამ ომში რომელიმე ბრძოლის მოგება არა აქვთ ჩაფიქრებული. მათი შეიარაღებითა და რაოდენობით ეს არც თუ ისე გაუჭირდებოდათ.

ხელმწიფემ ჩაიფიქრა და ანხორციელებს კიდეც ჩენების – როგორც ეთნოსის – განადგურებას.

**შამილი** – წინააღმდეგობა ჩენებისათვის გადარჩენის ერთადერთი გზაა.

**წამყვანი** – რუს ოკუპანტებს ხალხი ებრძვის. შამილიც ხალხმა აირჩია. იგი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია ხალხისა. ის ყოველთვის ხალხთან იქნება. ჩენეთში გრძელდება უაზრობის კოშმარი, რომელთან შეგუებაც შეუძლებელია. თუ ყოველივე ასე დარჩება, ომი აღარასოდეს დამთავრდება. თუ ასე გაგრძელდა, ხალხი აჯანყდება.

**შამილი** – ვერც ხაზარებმა და ვერც არაბებმა ვერ დაიმორჩილეს ჩენეთი. გადმოცემით: ჩინგიზ ხანის ორასათასიანი არმია ვერაფერს გახდა და უშედეგო მცდელობისა და ბრძოლის შემდეგ ალყა მოხსნა და წავიდა. ასევე მოიქცა თემურ ლენგიც. მან თავის ლაშქარს აუკრძალა ჩენეთში ცხვირის შეყოფაც კი. „ეს ხალხი აღფრთოვანების ღირსიაო!“ მალე ხანკალის ხეობაში გირეის ოთხმოცათასიანი ლაშქარიც დამარცხდა. თავდასხმათა ამ გაუთავებელმა მოგერიებამ ჩვენი მხიარული, კეთილი და დამთმობი ხალხი ყველაზე მამაც და მეომარ ხალხად აქცია კავკასიაში.

**წამყვანი** – რუსები და ჩენები პირველად პეტრე დიდის დროს შეეჯახნენ ერთმანეთს.

**შამილი** – მდინარე სუნჯასთან ექვსი პოლკი აპრაქსინის მეთაურობით უკანასკნელ ჯარისკაცამდე გაჟლიტეს ჩენებმა.

**წამყვანი** – მერე ეკატერინე მეორემ დალაშქრა ჩენეთი. 1781 წელს, როცა ნაცარტუტად აქციეს ჩენენ-აული, რუსებმა ჩენები აიძულეს, მძევლები ჩაეხარებინათ და ხელი მოეწერათ „რუსეთის ქვეშევრდომობის თანხმობის აქტზე“.

**შამილი** – სწორედ ეს აქტი იქნა 1981 წელს აფრიალებული, როგორც რუსეთის შემადგენლობაში ჩენეთის ნებაყოფლობითი შესვლის დოკუმენტი.

**მეფე** – რუს ხალხს მოთმინების ფიალა აევსო. ჩრდილოეთ კავკასიაში აბორიგენ რუსებს ხოცავენ. ნუთუ გგონიათ, რომ ჩვენმა დედა-რუსეთმა ადგილობრივი ავაზაკების ამარა მიატოვა თავისი შვილები? დღე არ გავა, შეტყობინება არ მივიღო. მწერენ: „ხელმწიფეო, თქვენ მოგანდეთ ჩვენი სიცოცხლე და ბედი, მაგრამ რა ხდება? რა დღეში ჰყავთ რუსები? ჩენეთში ახლაც ხოცავენ

რუსებს! ისტორიამ უკვე დაამტკიცა, რომ ჩეჩნებს თანდაყოლილი ზიზღი აქვთ რუსებისა და ჩვენთან ერთად ადამიანურ ცხოვრებას ველარ შეძლებენო!“

**შამილი** – პირიქით! ჰკითხეთ ნებისმიერ რუსს, რას გრძნობს ჩეჩნების მიმართ და მიხვდებით, რომ ეს სიძულვილი იდეოლოგიური კი არა, უფრო ღრმაა; ზოოლოგიური, გენეტიკური, ცხოველური. ეს კი ეთნიკური შეუთავსებლობაა!

**მეფე** – აი, რა მითხრა ერთმა პატივცემულმა ჩეჩენმა საკუთარ ხალხზე: ჩეჩენმა კარგად იცის მხოლოდ კაცის კვლა: თუ ეს არ შეუძლია – ყაჩაღობს; თუ ესეც არ ძალუძს, ქურდობს, იპარავს. სხვაგვარ ჩეჩენს არც ვიცნობო!

**შამილი** – ჩეჩნების ერთადერთი დანაშაული ის არის, რომ რუსეთის მეზობელია.

**წამყვანი** – ვისაც შოვინისტური ისტერია სჭირს, ის ლოგიკურ აზროვნებას მოკლებულია. მისი მთავარი მიზანია სხვათა მიწებზე ბატონობა და მცირე ხალხების დამონება. ამისათვის ისინი მზად არიან ზღვა სისხლისა ღვარონ მხოლოდ სხვათა კი არა, თავისი მოქალაქეებისაც. ამიტომ არის რუსეთი ასე ღარიბი და ამიტომაც მის საზღვრებზე ვერაფრით ვერ მომაგრებულან მცირე სახელმწიფოები. სხვა ხალხის ტრაგედიაზე აღმოცენებული რეფლექსი გამდიდრებისა, ამ ხალხის ტანჯვის უგულვებლყოფა და ჩვევა – უარყოს ამ ხალხთა არსებობის უფლებაც კი, ეს ყველაფერი ევროპის სამწუხარო დასასრულის მომასწავებელია. ეტყობა, ევროპას დაავიწყდა, რამ დალუპა რომის ცივილიზაცია.

**მეფე** – უკაცრავად, მაგრამ ევროპას ყველაფერი კარგად ახსოვს.

**შამილი** – ესე იგი, თქვენ ჩეჩნეთში ჯარის შეყვანა კანონიერად მიგაჩნიათ, არა?

**მეფე** – დიახ. და ეს მხოლოდ კანონიერი კი არა, მართლზომიერიც არის.

**წამყვანი** – 1995 წლის 9 მარტს კანადელებმა დააპატიმრეს ესპანური თევზმჭერი ტრალერი, პალტუსს იჭერდნენ და იმიტომ.

**მეფე** – რას იჭერდნენ?

**წამყვანი** – პალტუსს, პალტუსს – თევზია ასეთი. მთელმა ევროპამ გაკიცხა კანადელები – გაათავისუფლეთ ბრაკონიერებიო! არაო, – უპასუხეს კანადელებმა, – ესპანელებმა პალტუსს გენოციდი მოუწყესო!!“ რასაკვირველია, თევზები მეც მეცოდება,

განსაკუთრებით. ლიფსიტები, მაგრამ ნუთუ დაჩაგრული ხალხი ან თუნდაც მათი შვილები არ შეიძლება პალტუსებს გაუვთანაბროთ?

**შამილი** – რატომ ხმას არავინ იმაღლებს? ნუთუ არ იციან, რომ ეს სიჩუმე დე-იურე პოლიტიკური თანხმობაა, მთელი ხალხის განადგურების თანხმობა! რად გაიმეტეს ჩეჩნები კატასტროფული წამებისათვის? ნუთუ იმიტომ, მუსულმანები რომ არიან? ეგებ იმიტომ, მონობა რომ არ უნდათ? არ უნდათ ღირსება დაკარგონ! რისთვის? რატომ? როგორ მოხდა, რომ ევროპაში მეოცე საუკუნის ბოლოსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ხალხი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე აღმოჩნდა? ევროპაში, სადაც ყველა საყოველთაო ჰუმანიზმისა და ადამიანის უფლებათა დაცვაზე გაჰკვივის! სამწუხაროდ, ეს ლიტონი სიტყვებია, მაგრამ ლამაზი!.. რეალურად ხალხი დაყოფილია ორ კატეგორიად. პირველ საფეხურზე დგანან ხალხები, რომლებსაც ერთმანეთი აღიარებულ კანონიერ სუბიექტებად მიაჩნიათ; ხოლო დაბლა იგულისხმებიან დაჩაგრული, ესე იგი, აულიარებელი კანონგარეშენი. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო კანონები და ამ კანონთა საფუძველი – ადამიანთა უფლებების პატივისცემა, ვრცელდება მხოლოდ პირველ კატეგორიაზე.

**წამყვანი** – 1975 წლის პირველ აგვისტოს მიიღეს ჰელსინკის დასკვნითი აქტი, სადაც წამყვანმა ქვეყნებმა აღიარეს: ის, როგორც სახელმწიფო ექცევა თავის მოქალაქეებს, არ შეიძლება იყოს მხოლოდ მისი შინაური საქმე; ეს საერთაშორისო ურთიერთობისა და პოლიტიკის სფეროაო. ეს შემდგომ დაადასტურა 1990 წლის პარიზის ქარტიამ, ხოლო 1994 წელს – ბუდაპეშტის კომუნიკემ. ადამიანთა უფლებები აღარ ითვლება საშინაო საქმედ. ამ დოკუმენტების ხელმძღვერი ყოველი სახელმწიფო მხოლოდ უფლებამოსილი კი არაა, ვალდებულიც არის შეახსენოს ნებისმიერ ხელისმძღვერ ქვეყანას, რომ აკრძალულია ძალის გამოყენება მოსახლეობის წინააღმდეგ, კერძოდ, ნაციონალური უმცირესობის წინააღმდეგ. ამ შემთხვევიდან გადახვევა ადასტურებს, რომ ჩაგრული ხალხების წინააღმდეგ შეთქმულებაა დაგეგმილი. ამ შეთქმულებას ადასტურებს ისიც, რომ რუსეთს ნება მისცეს ჩეჩნების წინააღმდეგ გამოეყენებინა საერთაშორისო კონვენციებით აკრძალული მასობრივი ჟლეტის იარაღის ნებისმიერი ტიპი და სახეობა. პოლიტიკოსებიდან ვინ განაცხადა პროტესტი ამის

თაობაზე? როგორც ზბიგნევე ბჟეზინსკიმ თქვა: პოლიტიკოსები მხოლოდ ნიანგის ცრემლებს ღვრიდნენ.

**მეფე** – ეგ ვინა სთქვა? პოლონელი იქნება! ბჟეზინსკიო? – „ღმერთო, ისევ პოლონელი!“

**შამილი** – ზბიგნევე ბჟეზინსკი ამერიკელია! ერთმა ფრანგმა აკადემიკოსმა კი, რომელიც ევროპარლამენტის წევრიც არის...

**მეფე** – ვისი წევრიაო?

**შამილი** – ევროპარლამენტის... სთქვა: „რა არის ჩენნეთი? რუსეთი თავის გლობალურ ამოცანებს სწევვტს. რუსეთი მსოფლიო რუკაზე დიდ სახელმწიფოდ დარჩება. ჩენნეთი კი მსოფლიოსათვის ძალიან პატარაა და ვინ იცის, რა ამოცანებს ისახავს? ასეთი ომები გარდაუვალა. რას ვიზამთო!“ ეს სიტყვები საკმაოდ სახიფათოა იმიტომ, რომ ეკუთვნის ჭკვიან ადამიანს; ორჯერ სახიფათოა, რადგანაც ეკუთვნის ქალს; სამჯერ უფრო სახიფათოა იმიტომ, რომ მთქმელი მშვიდად აღიარებს საკუთარ ცინიზმს. მე კი დავამატებდი: ეს პოზიცია ამორალური და უღმერთოა! რამდენმა თაობამ უნდა იტანჯოს, აიტანოს დამცირება და დევნა, რომ დამოუკიდებლობისათვის ვარგისად აღიარონ? რამდენმა თაობამ უნდა იომოს?

**წამყვანი** – ჩენნეთში, ავღანეთში, ერაყშიც და, საერთოდ, ყველგან ომობენ მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლებისა და მიწისათვის! თანაც ომობენ ისინი, ვისაც ერთიც უკვე გააჩნია და მეორეც. მიზეზი კი ყოველთვის შეიძლება მონახოს კაცმა, თუ ძალიან მოინდომებს.

**მეფე** – არავითარი ძალაუფლება! ძალაუფლების მეტი რა გაგვაჩნია? არავითარი მიწა! მიწის მეტი რა გვაქვს? მიწისათვის არასოდეს გვიომია... ჩვენ იმპერიას ვუფრთხილდებით. ტერიტორიულ სიდიადეს დაცვა სჭირდება. იმპერია უნდა გადარჩეს.

**წამყვანი** – დე გოლი პრეზიდენტად იმიტომ აირჩიეს...

**მეფე** – რა გვარებს მისახელებთ? ვინ არიან ეგენი?

**შამილი** – საფრანგეთს ჰყავდა ეგეთი მშვენიერი პრეზიდენტი!

**წამყვანი** – დიას! და ფრანგებმა დე გოლი პრეზიდენტად იმიტომ აირჩიეს, იმპერიას გადაარჩენსო. პრეზიდენტი მიხვდა, რომ იმპერიის გადარჩენა საფრანგეთისთვის ხელსაყრელი არ იყო, კოლონიებში რეფერენდუმი ჩაატარა და იმპერია დაშალა. მხოლოდ ალჟირიდან მილიონზე მეტი უკმაყოფილო და გააკვებული ფრანგი დაბრუნდა. მათ ალჟირში სახლები, მიწები და უამრავი

ქონება დატოვეს. ამის გამო დე გოლი მოლაღატედ გამოაცხადეს და ტერაქტების მოუწყვეს. რა შედეგი გამოიღო ყოველივემ? საფრანგეთი ძველებურად იფურჩქნება. ყოფილი კოლონიები, ამჟამად დამოუკიდებელი სახელმწიფოები, მასთან ეკონომიკურ, კულტურულ და მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობას ცდილობენ. გამოჩენილი პოლიტიკოსი თავის ხალხზე უფრო ადრე მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა.

**შამილი** – გერმანიის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტად დემოკრატიული თანამედროვე საზოგადოება, აუცილებელია რეალურად შეაფასო საკუთარი წარსული და მიუსადაგო თანამედროვეობას, მძლავრი იარაღი და მრავალრიცხოვანი ჯარი ვერ მოგიმატებს იმპერიულ სტატუსსა და გავლენას საერთაშორისო არენაზე თუ სახელმწიფოს არ შეუძლია თავის მოქალაქეებს ცხოვრების ღირსეული პირობები შეუქმნას.

**წამყვანი** – შევედეთი პატარა ქვეყანა იმიტომ, რომ კარლოს მეთორმეტე არა ჰყავს. რუსეთი ასეულ წლებით იჭაჭებოდა, რომ მსოფლიოში თავისი სიდიადე დაემკვიდრებინა. გიგანტური ბუნებრივი რესურსები და ხალხის ძალა გამალებული შეიარაღების გასაძლიერებლად მიმართა. არაფერი გამოუვიდათ, რადგანაც რა სიდიადეზეა ლაპარაკი, როცა შარვალი გამოხეული გაქვს. რუსეთი უნდა ჩამოვიდეს მსოფლიო ისტორიის სცენიდან, სადაც მხოლოდ ტრაგიკულ ან უარყოფით როლებს თამაშობდა და ხელი მიჰყოს საკუთარი ცხოვრების მოწყობას. როგორც ეს პატარა შევედეთმა მოახერხა.

**მეფე** – კი მაგრამ, როგორ? როგორ? რუსეთმა ამხელა ტერიტორიები, ამდენი რესპუბლიკა დაკარგა?!

**შამილი** – ნუთუ ეს ასე მნიშვნელოვანია რუსეთისათვის?

**მეფე** – დიახ, მნიშვნელოვანია.

**შამილი** – თანახმა ვარ, მნიშვნელოვანია, მაგრამ არც იმდენად, რამდენადაც ბუქავენ.

**წამყვანი** – იტალიამ დაკარგა სომალი და ლიბია. საფრანგეთმა, ალჟირის გარდა, ვიეტნამიც! პორტუგალიამ და ბელგიამ – აფრიკის უზარმაზარი ტერიტორიები. ვინ ცხოვრობს უკეთესად? ისინი, ვინც კოლონიები დაკარგა თუ კოლონიები, დამოუკიდებლობა ვინც მოიპოვა?

**შამილი** – რუსებმა უცდილობლად უნდა გაუსწორონ თვალი მწარე

სინამდვილეს. სამოცდათხუთმეტწლიანი კომუნიზმის შემდეგ მათი ქვეყანა არამც თუ უდიდესია, არამედ არაგანვითარებული ქვეყანაა, რომელიც თავიდან ბოლომდე სასწრაფო რემონტს საჭიროებს. მათ უნდა აღიარონ, რომ ეკონომიკურად ჩამორჩნენ.

**წამყვანი** – ათწლეულებია საჭირო, თანაც ძალთა მიზანმიმართული, კონცენტრირებული დაძაბვისა, რომ რუსებმა როგორმე გადალახონ მორალური, სოციალური და ეკოლოგიური გაპარტახება, რაც მათივე სამოცდათხუთმეტწლიანი კომუნიზმის შედეგია. თავის მოტყუებას საკუთარი ზესახელმწიფოებრიობისა და იმპერიული სტატუსის შესახებ სხვა ზიანიც მოაქვს. იგი აზურუტყებს რუსეთის ჭეშმარიტ დემოკრატიზაციას, კომპარტიას ლეგიტიმურს ხდის და ხელს უშლის რუსეთს, მკვეთრად მოსწყდეს საბჭოურ წარსულს.

**შამილი** – რუსეთს ჰქონდა ხელსაყრელი მომენტი კისრიდან გადაეგდო საკუთარი ზესახელმწიფოებრიობის და იმპერიალიზმის უღელი, რომელიც ჯერ კიდევ ივანე მრისხანემ დაადგა, მაგრამ ჩეჩნეთის წინააღმდეგ ომმა ეს შანსი ხელიდან გაავდებინა.

**წამყვანი** – მსოფლიო საზოგადოებას არც მორალურად, არც პოლიტიკურად არ შეუძლია გულგრილად უცქიროს კაცობრიობის წინააღმდეგ წარმოებულ ამ მოქმედებას. სამწუხაროდ, თითქმის ყველა მთავრობა სწორედ ამ მხერით არის გართული, რითაც აიძულებს საკუთარ ხალხს, გაინაწილოს პასუხისმგებლობა ჩეჩნეთის ტრაგედიის გამო.

**მეფე** – კავკასია რუსეთის სასიცოცხლო ინტერესების უმნიშვნელოვანესი სფეროა და არავისა აქვს უფლება, ამაში ხელი შეეგვიშალოს!!

**შამილი** – სხვათა მიწები, ხელმწიფეო, დამპყრობელ სახელწიფოსათვის იგივეა, რაც სააგარაკო ნაკვეთი თანამედროვე ოჯახისათვის, ხლაფორთი ბევრია, სარგებელი – არავითარი. ესეც არ იყოს, სხვათა მიწებზე, რუსეთი რომ იჩემებს, ცხოვრობს სულ სხვა ხალხი, რომლებსაც მოსკოვის ბატონობა სულაც არ ეპიტნავებათ.

**წამყვანი** – მეთექვსმეტე საუკუნიდან დაიწყო რუსთა მიგრაცია ეთნიკური სამშობლოდან. დაიპყრეს უდიდესი ტერიტორიები, სადაც, საბოლოოდ, დასახლდნენ კიდევ, მაგრამ შემოერთებული ტერიტორიები ზმირად საკმაოდ განსხვავდებოდა კლიმატურ-ბუნებრივი პირობებით მათი სამშობლოსაგან. ეთნოსის ადაპტაციას



კი თაობები და ისევ თაობები სჭირდება. შემომტკიცებული ტერიტორიების საზღაურად მომეტებული სიკვდილიანობა იქცა. აი, თანამედროვე მონაცემებიც; რუსი ეროვნების მოსახლეობის სიკვდილიანობა ურალის ქედს გადაღმა, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში გაცილებით მაღალია, ვიდრე ცენტრალურ რუსეთში. მაღალია იგი ევროპულ ჩრდილოეთშიც (*კოლის ნახევარკუნძული. არხანგელსკის მხარე, კობი და ა. შ.*) ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი შუა აზიასა და კავკასიაშია. რუსი კაცის ადაპტაცია ამ მხარეებში მინიმალურია. მიზეზი ბიოლოგიური ზიანი ან მარადი ლოთობა კი არ არის (*ეს შედეგია და არა მიზეზი*). მიზეზი ის არის, რომ საუკუნეების მანძილზე რუსი ხალხი სიცოცხლით აგებს პასუხს თავისი ელიტის იმპერიული ამბიციების გამო და, აგრეთვე, ამავე ელიტის აგებული დამოკიდებულებისათვის საკუთარი ხალხის ჯანმრთელობის მიმართ. შეიბრალეთ ჯანმრთელობა და სიცოცხლე რუსი ხალხისა. დაიოკეთ ამბიციები. ნუ შეწუხდებით თქვენი ჩექმების რეცხვით სხვათა წყლებსა და მდინარეებში. ჩექმები საკუთარ აბაზანაში გაირეცხეთ. ეს იაფიც არის, სწრაფიც და უსაფრთხოც.

**შამილი** – მსოფლიო ომის საშიშროება იმ დღესვე გაქრება, როცა რუსი ხალხი შეძლებს ჯვარი დაუსვას თავისი მეფეების დაპყრობით პოლიტიკას; როცა მსოფლიო ბატონობაზე ფანტაზიების ნაცვლად ქვეყნების შიგნით მიხედავს თავის საკუთარ სასიცოცხლო ინტერესებს, ინტერესებს, რომელთაც უკიდურესი საშიშროება ემუქრება.

**მეფე** – ეგ ვინ იწინასწარმეტყველა? ისევ ბუეზინსკიმ?

**შამილი** – არა; ეს თქვენს სახელმწიფოში აღმოცენებული ბოლშევიკების კერპმა – ფრიდრიხ ენგელსმა თქვა.

**მეფე** – ეგ ვინლა იყო?

**შამილი** – კარლ მარქსის მეგობარი.

**წამყვანი** – რუსეთი უმართავი სტიქიონია, რომელიც იშვა, რომ ანადგუროს. მის თანამედროვე მონაპოვარში – დაპყრობილ დოვლათში, იმზირება სკვითების, ჰუნებისა და თათრების ბარბაროსობის კვალი. შეუძლებელია გაიგო, მით უმეტეს, ამ ჩვენი ცივილიზაციისა და კულტურის განვითარების ფონზე, ეს სხვისის მიტაცება-მითვისების მოთხოვნილება და სრული უდარდებლობა საკუთარის შენარჩუნება-გაუმჯობესების მიმართ.

**მეფე** – აი, ამას კი მხოლოდ ის პოლონელი ამერიკელი ბჟეზინსკი დაგვაბრალებდა.

**წამყვანი** – არა, მეფეო, ეს ღიუძამ თქვა.

**მეფე** – რომელმა?

**წამყვანი** – უფროსმა, მამამ!..

**მეფე** – კიდევ კარგი, თორემ შვილს არ ვაპატიებდი. თუმცა ეგენი ყველანი, ვისი გვარებიც ჩამომითვალეთ, უცხოელები არიან და რუსებს ვერ გაუგებენ.

**შამილი** – მაშინ ამის თაობაზე რუსი ჟურნალისტის აზრს მოგახსენებთ.

**მეფე** – არ მაინტერესებს...

**შამილი** – რუსი ხალხის და, შესაძლოა, მთელი მსოფლიოს უდიდესი ისტორიული უბედურებაა, ჩვენი, ველიკორუსების მიერ ასეთი უზარმაზარი და ამასთანავე სრულიად უაზრო და ჩვენთვისაც დამღუპველი თვითმპყრობელური დესპოტური რუსეთის იმპერიის შექმნა. ამ იმპერიის შენება, შენარჩუნება, გამაგრება და გაფართოება მთელი ისტორიის მანძილზე შთანთქავდა და, საბოლოოდ, თითქოს ბოლომდე ამოწურა მთელი ჩვენი ნაციონალური ძალა და რესურსები, რამაც ყოველმხრივი, მრავალპლანიანი და ჰარმონიული არსებობისა და განვითარების საშუალება მოგვისპოო.

**მეფე** – ეგ რუსი არ იქნება.

**შამილი** – როგორ გეკადრებათ!

**მეფე** – მაშინ ჟურნალისტი არ იქნება. ეგ ვილაც გიჟი ყოფილა. მე მაგას ვუჩვენებ სეირს!

**წამყვანი** – ჩვენს დროში გავლენა დაშინებით კი არა, კეთილმეზობლური დამოკიდებულებით, ინვესტიციებით...

**მეფე** – *(აწყვეტილებს)* რითი, რითი?

**წამყვანი** – ინვესტიციებით, ფულის ჩადების ერთგვარი ხერხია! ვიმეორებ: კეთილმეზობლური დამოკიდებულება ინვესტიციებით, ვაჭრობითა და სხვა ნაირგვარი მშვიდობიანი უსაფრთხოებებით მოიპოვება. რუსეთი კი მეცხრამეტე საუკუნეში ჩარჩა. მეზობლებს თვითმპყრობელივით ელაპარაკება. ასე გავლენას ვეღარ მოიპოვებ. ეს უპერსპექტივო გზაა. ერთი ამერიკელი პროფესორის გამონათქვამის პერიფრაზი მინდა მოგახსენოთ: თუ დასავლეთი პრინციპიდან – „იცხოვრე თავად და სხვებს ხელს ნუ შეუშლი“ გადავიდა ფორმულაზე – „იცხოვრე თავად

და სხვასაც დაეხმარეო“, – რუსეთი ძველებურად ძარცვის ეპოქაში ჩარჩა: „თავადაც არ ვიცხოვრებთ, მაგრამ არც სხვებს ვაცხოვრებთო“.

**მეფე** – კი მაგრამ, როგორც თავად კავკასიელები ამბობენ, რუსეთთან კავშირი გვინდაო!

**შამილი** – გვინდა, დიხაც, გვინდა, მაგრამ არა იმათთან, ვინც ტანკებს მოაგეღვებს. კავკასიას მოწყალება არა სჭირდება. მას მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობა სჭირდება. და თუ მშვიდობა იქნა, ყველაფერი იქნება: კეთილდღეობაცა და სიმშვიდეც, კავკასიელებისთვისაც და რუსებისთვისაც.

**წამყვანი** – ყოველ ასე თუ ისე კეთილგონიერ ადამიანს სწამს, რომ ჩენეთიდან რუსები უნდა გამოვიდნენ. დღეს თუ არა, ხვალ; ხვალ თუ არა, ნახევარი წლის მერე; ერთი წლის მერე... ორი, ხუთი, ათი წლის მერე. რუსეთის ადგილი ჩენეთში არ არის. ეს ხომ ზღარბმაც იცის. ასე ჩამოყალიბდა ისტორიაში. და ეს არც დღეს მომხდარა და არც გუშინ! ყოველდღე სამი ჯარისკაცი კვდება! ამას თვითონ რუსები ამბობენ. მიუმატეთ ახლა დაჭრილებიც... რატომ? რატომ? ვიდაცის დებილური ინტრიგებისა და თამაშების ხელშესაწყობად? მიაფურთხეთ ამ თამაშებს. ერთხელ მაინც მოიქეცით ადამიანურად: გაიყვანეთ ჯარები! დაუტოვეთ ჩენეთი ჩენებს!

**შამილი** – ძლიერი, ჭკვიანი და კეთილი ადამიანი არასდროს, ფიქრშიაც კი არ უსურვებს სხვებს ბოროტებას, რადგანაც ვინ დაიცავს თვითონ მას. ასე ძლიერს, ჭკვიანსა და კეთილს ბოროტისაგან ამ უზარმაზარ ქვეყანაში? თუ კაცობრიობა ბოლოს ვერ მოუღებს ომს, ომი მოუღებს ბოლოს კაცობრიობას და მაშინ ცოცხალს მკვდრისა შეშურდება!

**მეფე** – ეს ყველაფერი მოხდება ან არ მოხდება. მე იმაშიც კი არა ვარ დარწმუნებული ჩემს შემდეგ, როცა ღმერთი და თქვენი ალაჰი მიმიღებს...

**შამილი** – *(აწყვეტილებს)* ღმერთი ერთია!

**მეფე** – ღმერთი თუ ერთია, მაშინ ჩვენ რატომ გვწყალობს და თქვენთვის ასე მკაცრი რად არის?

**შამილი** – იმიტომ, რომ თქვენ კეთილი ხალხი ხართ, ჩვენ კი ცუდი, ყაჩაღები! ამიტომ ჩვენ მკაცრად უნდა მოგვექცეთ! ყოველ დამნაშავეს თავი უნდა წააგდებინოთ! ღმერთი ვის სწყალობს და ვის არა, ეს ჯერ კიდევ საკითხავია...

**მეფე** – გიმეორებ, მე იმაშიც კი არა ვარ დარწმუნებული, ჩემს შემდეგ ალექსანდრე მეორეს ჩაბარდები თუ არა... მაინც გეკითხები: ყოველივე იმის შემდეგ, რაც ითქვა, ახლა თუ იომებდი რუსეთთან?

**შამილი** – ვიომებდი! ოღონდ კავკასიაში – აღარ! მაშინ უკვე შამილი ალექსანდრეს ეტყვის: კავკასია ახლა კალუგაშიაო, სადაც გადამასახლებენ. სხვათა შორის, ჩეჩნეთიდან კალუგამდე ჩასვლას რამდენიმე თვე მოვანდომე. ამხელა სამშობლო თუ გქონდათ, ამ პაწია ჩეჩნეთს რას ერჩოდით! მაშინ ჰაჯი-მურატს აღარ ვაიძულებდი თქვენსკენ გადმოსულიყო. ჰაჯი თავის ჭკუით, სიმართლით, გამბედაობითა და სიმამაცით ჩემთან რომ ყოფლიყო, შესაძლოა, ასეთი რამ არ დამმართონდა ჩეჩნეთში.

**მეფე** – როგორც იქნა გაიხსენეთ არა, ჰაჯი-მურატი?

**წამყვანი** – მართლაც დროა, განვაგრძო ჩემი თხრობა ჰაჯი-მურატზე, თორემ ნამეტანი გაგვიგრძელდა ტრიო. *(შეშობიან ჰაჯი და ელდარი)*

**ჰაჯი** – *(წამყვანს)* სამხედრო უფროსის სახლი ეს არის?

**წამყვანი** – არა, *(ბუტლერზე)* ამას ჰკითხეთ, ეცოდინება.

## მეათე ეპიზოდი

*ჰაჯი და ელდარი ბუტლერს მიუახლოვდებიან.*

**ჰაჯი** – *(ბუტლერს)* სამხედრო უფროსის სახლი ეს არის?

**ბუტლერი** – დიას, ეს გახლავთ. ვინ ბრძანდებით?

**ელდარი** – *(ჰაჯიზე)* ჰაჯი-მურატია. აქეთ წამოვიდა. ჯარის უფროსის სტუმარი იქნება.

**ბუტლერი** – *(ჰაჯის)* გამარჯობა. კოშკოლდი!

**ჰაჯი** – საუბულ! *(ხელი გაუწოდა)* უფროსი ხარ?

**ბუტლერი** – არა. უფროსი შინ არის; წავალ, დავუძახებ. *(სახლში შედის)* მარია დმიტრიევნა, დენშჩიკები სად არიან?

**მარია** – სად იქნებიან?! დასალევად წავიდნენ!

**ბუტლერი** – კარის გაღება მინდა. თქვენს ჭიშკართან მთიელების მთელი ხროვაა. ჰაჯი-მურატი გვეწვია.

**მარია** – ნუთუ მართლა?

**ბუტლერი** – რა ძალა მადგას, მოვივონო. მიდით, ნახეთ.

**მარია** – აი, სეირი თუ გინდა, ეს არის! მაშ, წავალ, ივანე მატყევეიჩის გავალვიძებ. წუხელ მაგარი მთვრალი იყო და ჯერ არ ამდგარა.

**ბუტლერი** – არა, ივანე მატყევეიჩის მე გავალვიძებ, თქვენ კარი გააღეთ. *(მარია კარს აღებს)* ივანე მატყევეიჩი! სტუმარი გეახლათ! ჰაჯი-მურატი!

**ივანე** – *(ძლივს გაიღვიძა. ახველებს)* ვიცოდი, გროზნოში რომ იყო! მაგრამ მაინცდამაინც მე თუ გამომიგზავნიდნენ მაგ ემშაკს და თანაც ასე ადრე, არ მეგონა. *(ჩაიცვია)* რას შემომცქერი? წამალი დამალევინი.

**ბუტლერი** – *(არაყს დაუსხამს და მუჟევი კიტრს მიაწოდებს)* ინებეთ.

**ივანე** – ნარევე უარესი არაფერია. გუშინ ჩიხირი დავლიე და თავი მისკდება. *(დაღვეს თუ არა, გამოკეთდება)* ახლა კი მზადა ვარ. *(გადიან ჰაჯის შესახვედრად)*

**ელდარი** – *(ივანეს დაბეჭდილი ბარათი გაუწოდა)* მარცხენა ფლანგის უფროსის ბრძანებაა.

**ივანე** – *(ბუტლერს)* წამიკითხე!

**ბუტლერი** – „გობრძანებთ, მიიღოთ ჰაჯი-მურატი. ნება დართეთ მსტოვრების მეშვეობით კავშირი გააბას მთიელებთან და ოჯახთან, ოღონდ სიმაგრეიდან. კაზაკების ბადრაგის გარეშე არსად გაუშვათ“.

**ივანე** – *(ჰაჯის)* იახში! ბეკ-იახში! კი, ბატონო, იცხოვროს ჩვენთან! როგორც გაიგეთ, ნაბრძანები მაქვს, არსად გაუშვა. ხოლო რაც ნაბრძანებია, ზუსტად უნდა შესრულდეს. აბა, სად მოვათავსოთ, როგორ ფიქრობ, ბუტლერ?

**მარია** – აქ მოათავსეთ. სასტუმრო და საკუჭნაო მივცეთ. ყოველ შემთხვევაში, თვალწინ გვეყოლება. *(მარიას და ჰაჯის თვალები ერთმანეთს შეხვდება)*

**ბუტლერი** – სწორია, მარია დმიტრიევნა მართალსა ბრძანებს...

**ივანე** – აბა, აბა, მოეშვი! დედაკაცებს ამ საქმეში ვერ გავრევთ.

**ჰაჯი** – *(ზიზღიანი ღიმილით)* ჩემთვის სულ ერთია, სად ვიცხოვრებ. ერთადერთი, რაც მჭირდება და რისი უფლებაც მომცა სარდარმა, ის არის, რომ ახლო ურთიერთობა მქონდეს მთიელებთან. ამიტომ გთხოვთ, მთიელები ყოველთვის შემოუშვათ ჩემთან.

**ივანე** – ეგ შეიძლება. შემოვუშვებთ. ეგ შეიძლება. ბუტლერ!

სტუმრები გაართე, ვიდრე ოთახს მოუმზადებენ და საუზმეს მორთმევენ. მე კანცელარიაში გადავალ საჭირო ქაღალდების დასაწერად და განკარგულების გასაცემად. *(გადის)*

### მეთერთმეტე ეპიზოდი

**ბუტლერი** – მესმის, ივან მატვევიჩი, *(მორიდებით, ჰაჯის)* რამ გაიძულათ, საცხოვრებლად ჩვენი მიყრუებული და პატარა ქალაქი რომ ამოირჩიეთ?

**ჰაჯი** – ჩეჩნეთში მიზანს ვერ მივალწიე. ტფილისში დავბრუნდი, ყოველდღე ვორონცოვთან დავდიოდი და ერთსა და იმავეს ვემუდარებოდი: ტყვეები ჩემს ოჯახზე გადაეცვალა. უამისოდ ხელები შეკრული მაქვს და არ შემიძლია შამილი გავანადგურო.

**ელდარი** – ისიც ბუნდოვნად ჰპირდებოდა, ყველაფერს გვაკეთებო, მაგრამ საქმეს აჯანჯლებდა, ვითომ გენერალ არლუთინსკის ჩამოსვლას ელოდებოდა.

**ჰაჯი** – მაშინ ვთხოვე, აქ გამოვეშვი. აქედან უფრო მოსახერხებელია შამილთან და ჩემს ერთგულ ხალხთან ოჯახის გამოსყიდვაზე მოლაპარაკება.

**ელდარი** – გარდა ამისა, ამ ქალაქში მეჩეთია და უფრო კარგად შეუძლია მაჰმადიანური კანონებით საჭირო ლოცვების შესრულება. ოღონდ თავიდან მოეცილებინა, ამაზე ვორონცოვი მაშინვე დათანხმდა. *(ელდარს გაიძახებენ და ისიც გადის)*

**მარია** – თქვენი გადმოსვლა რუსების უმრავლესობას კავკასიის ომში ბედნიერ შემობრუნებად მიაჩნია.

**ჰაჯი** – მიხარია, თუ ასეა, ქალბატონო. მაგრამ სიმართლეს გეტყვი: მთებიდან ნაწილობრივ თავის გადასარჩენად, ნაწილობრივ შამილის სიძულვილით გამოვიქეცი. ეს წარმატება პირველ ხანს ისე მახარებდა, შამილის განადგურების გეგმაც კი შევადგინე. მაგრამ ვიღაცამ მიმტრო, გამცა და ვიდრე გამოვიხსნიდი, ოჯახი გაიტაცეს. ახლა აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. ოჯახი ძალით ან მოხერხებით უნდა ვიხსნა.

**მარია** – ოჯახის მალე გამოხსნას გისურვებთ.

**ჰაჯი** – ღმერთმა გისმინოს.

**ელდარი** – *(შემოჰყავს მსტოვარი)* შენთან მსტოვარია, ჰაჯი!

**ჰაჯი** – გისმენ.

**ელდარი** – მოახსენე.

**მსტოვარი** – *(ჰაჯის წინ მუხლებზე იჩოქებს. ჰაჯიმ წამოაყენა)*

ჰაჯი, შენი ერთგული ავარიელები ემზადებიან შენი ოჯახის გამოსახსნელად. და მათთან ერთად რუსების მხარეზე გადმოსასვლელად, მაგრამ ასეთი ხალხი ძალიან ცოტაა. თანაც ამის გაკეთებას ვედენოში, სადაც ტყვეები იმყოფებიან, ვერ ბედავენ. სამაგიეროდ, მზად არიან ოჯახი იმ შემთხვევაში გამოიხსნან, თუ სხვა ადგილას გადაიყვანენ! ამ საქმის მოგვარებას მხოლოდ გადაყვანის დროს – გზაში შევძლებთო.

**ჰაჯი** – მაღლობა მოახსენე ყოველ მათგანს და ჩემს მეგობრებს უთხარი: ოჯახის გამოსხნისათვის სამ ათას მანეთს გავიღებ. ნახვამდის.

**მსტოვარი** – ალაჰი გფარავდეს... *(გადის)*

**ელდარი** – სახელმწიფო მრჩეველი კირილოვი ჩამოსულა ტფილისიდან. ვორონცოვისაგან რაღაც ახალი ამბავი აქვს.

**ჰაჯი** – *(ზიზღით)* შემოვიდეს! *(შემოდის კირილოვი და ბოქაული)*

**კირილოვი** – *(ყოველგვარი მისაღმების გარეშე)* ვორონცოვმა გიბრძანათ, თორმეტ აპრილს ტფილისში ჩამობრძანდეთ გენერალ არლუთინსკისთან – *(გაბრაზებით)* იახში! *(ჰაუზა)* ფული ჩამომიტანე?

**კირილოვი** – დიახ.

**ჰაჯი** – მომეცი და ორი კვირისა წინასწარ დაამატე.

**კირილოვი** – ახლავე. *(სამჯავრო ჩანთიდან ფულს იღებს)* ხომ არ მოგწყინდათ აქ ყოფნა?

**ჰაჯი** – შენთან ლაპარაკი არა მსურს. ფული მომეცი! *(კირილოვი მისცემს. ჰაჯი ფულს ჩოხის სახელოში ჩაიყრის, წამოდგება. სრულიად მოულოდნელად სახელმწიფო მრჩეველს მულოტ თავზე ხელს წამოუთაქებს და მიდის).*

**კირილოვი** – *(წამოხტა. ბოქაულს)* როგორ ბედავს ასე მომეცქცეს?! მე პოლკოვნიკი ვარ.

**ჰაჯი** – ვიცი, ვიცი! *(გადის)*

**ბოქაული** – რას გააწყობ! ხანჯალს მუცელში დაგიტრიალებს და მორჩა! მერე უყარე კაკალი. ამ ჰაჯის ნაშიერებთან საერთოს ვერ გამოვნახვთ. *(ჰაჯის მსტოვარი ელოდება)*

**II მსტოვარი** – *(ჰაჯის)* სალამ ალეიქუმ!

**ჰაჯი** – ალეიქუმ სალამ!

**II მსტოვარი** – ჰაჯი დრო ცოტა გვაქვს, სიმართლეს გეტყვი: შენი მეგობრები, სამი ათასად ოჯახის დახსნას ვინც გპირდებოდა, ახლა პირდაპირ უარს აცხადებენ შამილის შიშით, რადგანაც საშინელი წამებით ემუქრება ყველას, ვინც დაგეხმარება. იმედი ნულარაფრისა გექნება.

**ჰაჯი** – *(დაძაბულად ფიქრობს)* ასე... *(თავი ასწია, ოქრო ამოიღო და მსტოვარს გაუწოდა)* წადი.

**II მსტოვარი** – რა პასუხს მაძლევ? რას დამავალბ?

**ჰაჯი** – იმას, რასაც ღმერთი ისურვებს, წადი! ალაჰი იყოს შენი შემწე!

**ხმა** – როგორ მოვიქცე? დავუჯერო შამილს და დავბრუნდე? მელაა, მომატყუებს. რომ არ მომატყუოს, მაინც არ შემიძლია ამ წითურ მატყუარას დავემორჩილო. რუსებთან ყოფნის შემდეგ აღარ მენდობა. ერთი თავლინური ზღაპარია შევარდენზე, რომელიც აღამიანებთან ცხოვრობდა და მერე მთაში თავისიანებს დაუბრუნდა. დაუბრუნდა, მაგრამ ბორკილებზე პაწია ეუვნები ეკეთა და შევარდენებმა აღარ მიიღეს: „იქ გაფრინდი, სადაც ვერცხლის ეუვნები შეგაბესო“. შევარდენს არ უნდოდა სამშობლოდან წასვლა და დარჩა. მაგრამ ახლოს არ გაიკარეს და ბოლოს, დაკორტნეს“. მეც ასე დამკორტნიან. რა გქნა? სულს რომ თავისუფლება სწყურია? აქ დავრჩე? დავუმორჩილო რუს ხელმწიფეს კაკკასია? მოვიხვეჭო სახელი და დიდება, ჩინ-მედლები, სიმდიდრე? ესეც შესაძლებელია. თავისუფლება? თავისუფლება? მაგრამ ახლავე უნდა გადავწყვიტო, თორემ შამილი ოჯახს დამიღუპვს, *(ადგა, ნუქერების ოთახში გავიდა. ახლადღებულნი ოქროები ელდარს გაუწოდა)*.

**ჰაჯი** – ესეც ჩოხაში ჩააკერე. გამზალო, ბიჭებს უბრძანე, იარაღი გასინჯონ, დამბაჩები გატენონ. ტყვიები დაამზადონ. სასეირნოდ შორს მივემგზავრებით.

**გამზალო** – თოფის წამალი გვაქვს. ტყვიებიც ბლომად არის. მზად ვიქნებით *(ჰაჯი გადის)* ვიცი, რაც უნდა! თავიდანვე და ახლაც ერთ რამეზე ვოცნებობდი; ეს რუსი ძალები რაც შეიძლება მეტი გავუღიბო და მერე მთებში გავიქცე. გული მიგრძნობს, ჰაჯი-მურატსაც ეს უნდა... *(შეჰყვირებს)* „ლა ილანა, ილ ალა!“ *(ჰაჯი შედის მარჯვნივ ოთახში და უერთდება შეკრებილ სტუმრებს)*



**ბუტლერი** – ტფილისი თუ მოგეწონათ, ჰაჯი?

**ჰაჯი** – აია.

**ბუტლერი** – მაინც რა მოგეწონათ?

**ჰაჯი** – თეატრი.

**ბუტლერი** – მთავარსარდალთან მეჯლისი არ მოგეწონათ?

**ჰაჯი** – ყოველ ხალხს თავის ზნე-ჩვეულება აქვს. ჩვენი ქალები ასე არ იცვაშენ. *(მარია დმიტრიევნას გადახედა)*

**მარია** – მაინც რა არ მოგეწონათ მეჯლისზე?

**ბუტლერი** – ჩვენი მანდილოსნები თუ მოგწონთ?

**ჰაჯი** – ყველა არა!

**ბუტლერი** – ხომ არ გადაიღალეთ?

**ჰაჯი** – დალილობას არ ვგრძნობ.

**ივანე** – რატომ ჯიუტობდით და არ გვნებდებოდით? განა ახლა აქ ცუდად გრძნობთ თავს?

**ჰაჯი** – რუსეთს არ ვიცნობდი.

**ივანე** – როგორ მოგწონთ, რასაც აქ ხედავთ?

**ჰაჯი** – თქვენ სამოთხეში ვერ მოხვდებით!

**ივანე** – რატომ?

**ჰაჯი** – იმიტომ, რომ თქვენ მიწაზე გაქვთ სამოთხე. განსაკუთრებით მიკვირს, სხვების თანდასწრებით რომ ეხვევით ქალებს. სხვათა შორის, წინასწარმეტყველი ჩვენც, მართლმორწმუნეებსაც, დაგვპირდა ამას, ოლონდ, საიქიო ცხოვრებაში!

**ივანე** – *(იციინის)* ოჰ, ეგ მეტისმეტია!

**ჰაჯი** – ჩვენში იციან ერთი ანდაზა: ძალლი ვირს ზორცით გაუმაჰინძლდა, ვირი კი – თივით და ორივე მშიერი დარჩაო.

*(გაიღიმა)* ყოველი ხალხისთვის თავისი ზნე-ჩვეულებაა კარგი.

**მარია** – *(ჰაჯის)* რას მიირთმევთ? ნალებს თუ ფუნთუშას? *(ორივე მიაწოდა)*

**ჰაჯი** – არცერთს, *(თავი დაუკრა)* ნუ შეწუხდები. *(წამოღვა)* სასეირნოდ უნდა წავიდე.

**ივანე** – ხეირიანად არც დაგვილევი და უკვე მიდიხარ? გასეირნებას მოესწრები. ჯერ კირილოვს ცვეთ პატივი!

**ბუტლერი** – *(მიხვდა)* მაშ, მშვიდობით??

**ივანე** – ასე ვერ გაგიშვებ... დავლიოთ.. დაასხით... არ გეყურება, ბუტლერ? ტფილისელი სტუმარი გვყავს.

**ჰაჯი** – *(ბუტლერს)* მშვიდობით, მშვიდობით. ყონალი ბულურ. სულ შენი ყონალი ვარ. დროა, ჰაიდა, სასეირნოდ უნდა წავიდე. *(ჰაჯის)*

ნიშნზე შემოდის ელდარი, ნაბადი და ხმალი შემოაქვს. ჰაჯიმ ნაბადი ხელზე გადაიკიდა, მერე მარიას გადასცა). რაკი ნაბადი მოგეწონათ და შეაქეთ, თქვენი იყოს.

**მარია** – რატომ? (გაწითლდა)

**ჰაჯი** – ასეა საჭირო. ადამი ასეთია.

**მარია** – კეთილი, გმადლობ. (ნაბადი გამოართვა) ღმერთმა გამოგახსნევენოს ოჯახი. ულან იახში. (ჰაჯიმ მარიას თავი დაუკრა, მერე ელდარს ხმალი გამოართვა და ივან მატვევეიჩს გაუწოდა. ივანემ სიხარულით ჩამოართვა საჩუქარი) ალაჰი სმას გვიკრძალავს. რას იზამ? ვერ დავლევ.

**ივანე** – (დაიბნა) გამაგიჟებს ეს კაცი... ჩემი წაბლისფერი იაბო წაიყვანე. მეტი არაფერი გამაჩნია. (ჰაჯიმ ანიშნა, არაფერი მინდაო. ჯერ გულზე მიიღო ხელი, მერე მთებისაკენ გაიშვირა და გავიდა. ჰაჯის დანახვისთანავე არსლან-ხანმა, რომელიც კართან ელოდებოდა, დამბაჩა იძრო, ჰაჯის დაუმიზნა და ესროლა, მაგრამ მიზანს ააცილა, რადგან ჰაჯიმ კატასავით ისკუპა და არსლანი ძირს დასცა. ბუტლერმა და ელდარმა მტრები გააკავეს. ივანე გულგახეთქილი გამოვარდა) ეს რა ჰქენი, არსლან, რაღა ჩემს სახლში მოგინდა ამ სისამაგლის ჩადენა? არ არის ეს კარგი, ჩემო ძმაო. სხვაგან რაც გინდოდა, გექნა, აქ რას მიწყობ ხოცვა-ჟლეტას? (არსლანი ოთახში შეიყვანა)

**ბუტლერი** – (ჰაჯის) რატომ გესროლა?

**ჰაჯი** – სისხლის აღება უნდოდა. ჩვენთან ასეთი კანონია.

**ბუტლერი** – გზახე რომ დაგეწიოს?

**ჰაჯი** – რა გაეწყობა, მომკლავს. ასეთი ყოფილა ალაჰის ნება. მაშ, მშვიდობით. (მარიას) მშვიდობით, დედილო, მალე დავბრუნდები.

**მარია** – ღმერთმა ქნას... ღმერთმა ქნას ოჯახი დაიხსნა.

**ბუტლერი** – იცოდე, ყონალი არ დაივიწყო.

**ჰაჯი** – მე შენი ერთგული მეგობარი ვარ და არასოდეს დაგივიწყებ. გავისეირნებ და მალე დავბრუნდები. სამუდამოდ კი არა გტოვებთ. (გადის)

**ბოქაული** – ყოჩაღია! მგელივით არ ეცა არსლან-ხანს? სულ სხვანაირი გაუხდა სახე. მაგრამ ვგრძნობ, მოგვატყუებს. დიდი თაღლითი უნდა იყოს.

**მარია** – ღმერთმა ქნას და ბევრი რუსი იყოს ასეთი თაღლითი. დიდხანს იცხოვრა ჩვენთან და კარგის მეტი მისგან არაფერი გვინახავს. თავაზიანია, ჭკვიანი, სამართლიანი.

**ბოქაული** – საიდან გაიგეთ ეს ყველაფერი?

**მარია** – ალბათ, გავიგე.

**ივანე** – შეგიყვარდა?

**მარია** – ჰო, შემიყვარდა. მერედა თქვენ რა? რატომ აგინებთ ტყუილებრალოდ, როცა კარგი კაცია. თათარია, მაგრამ კარგია.

**ბუტლერი** – მართალი ბრძანდებით. მარია დმიტრიევნა! ყოჩაღ, რომ გამოექომაგეთ!

**ივანე** – მორჩით, ენის ტარტარს. ვერა ხელავთ, რამდენი ჩიხირი გვაქვს დასალევი, აბა, ვიქეიფოთ! დაასხი!

**ბოქაული** – ნაზაროვ, თვალყური ადევნე. შორს არ გაუშვა. თუმცა მეც წამოვალ, ცოტას გაგაცილებთ.

**ნაზაროვი** – მესმის, თქვენო კეთილშობილებავ! *(ჰაჯი თავისი ამკლითა და ბადრავი ამხედრდებიან და გაქუსლავენ.)*

**ფეროპონტოვი** – ეჰ, რა კარგი ცხენი ჰყავს?! როცა ჩვენი მტერი იყო, მაშინ რომ შემხვედროდა, ნამდვილად ჩამოვსვამდი ცხენიდან.

**პეტრაკოვი** – მაგ ცხენში ტფილისში სამას მანეთს აძლევდნენ და არ დათმო.

**ნაზაროვი** – მე კი ჩემი ცხენით გავუსწრებ.

**ფეროპონტოვი** – როგორ არა, გაასწრებ! *(ჰაჯიმ სისწრაფეს უმატა)*

**ნაზაროვი** – ეი, ყონალო, არ შეიძლება მაგრე, ცოტა ნელა იარე!

**პეტრაკოვი** – ეტყობა, რაღაც განიზრახეს მაგ ქაჯებმა. შეხე, როგორ მიქრიან.

**ნაზაროვი** – ასე არ შეიძლება, შეანელე! *(მაგრამ ჰაჯიმ უფრო უმატა სისწრაფეს)* ტყუილად ცდილობ, ვერ წამიხვალ! *(თითქმის წამოეწია ჰაჯის)* გეუბნები, არ შეიძლება-მეთქი! *(ჰაჯის ცხენს აღვირში უნდა სწვდეს და... სროლა!)* რას სჩადიხარ? *(გულზე ხელი იტაცა)* დასცხეთ მაგათ, ბიჭებო! *(მაგრამ ბიჭებს მთიელებმა დაასწრეს და სამივე ამოჟოფეს. მეთოხემ გაქცევა მოასწრო)*

**ბოქაული** – ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ყელი გამოძვრეს. ხელიდან გაუშვეს ყაჩაღები! მაზრის უფროსო ყორღანოვ...

**ყორღანოვი** – ვიცი. ვერსად წამივა, აბა, ბიჭებო, მომყევით. *(აქეთ-იქით იხედება)* რა იქნენ? ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ? თანაც ბნელდება... *(მოადგილეს)* ასეულს უბრძანე, შეერთდნენ. უკან დავბრუნდეთ. ღამით ამ ავაზაკებთან ბრძოლა შეუძლებელია.

**მოადგილე** – მესმის, *(ყვირის)* ასეულო, მეთაურთან!

**ყორღანოვი** – *(გამკლელს)* სადაური ხარ, მოხუცო!

მოსუცი – აქაური გახლავართ.

ყორღანოვი – თათარი ხარ?

მოსუცი – თქვენ ასე გვეძახით...

ყორღანოვი – საიდან მოდიხარ?

მოსუცი – ბრინჯის ყანებთან შეშას ვაგროვებდი. თუ აკრძალულია, ჩამომართვით!

ყორღანოვი – არა, მოსუცი, შენი იყოს. ერთი ეს მითხარი, აქეთ ხუთი მხედარი ხომ არ დაგინახავს?

მოსუცი – არა, უფროსო, არაფერი დამინახავს.

ყორღანოვი – რა გაეწყობა... ეტყობა, მართლა ცამ ჩაყლაპა ყველა...  
(*გზა განავრძო*)

მოსუცი – (*კულისებიდან მობრუნდა*) უფროსო, ვნახე, ვნახე, სწორედ ხუთი მხედარი ვნახე. ბრინჯის ყანებში ტრიალებდნენ და მერე იმ ბურქებში შევიდნენ, საიდანაც ეს ფიჩხი წამოვიღე.

ყორღანოვი – მართლა?

მოსუცი – ღმერთს გეფიცები.

ყორღანოვი – (*მოადვილეს*) ასეულს უბრძანე, ბრინჯის ყანას უჩუმრად ალყა შემოარტყან. უჩუმრად! უჩუმრად, გესმის?

მოადვილე – მესმის... (*თენდება სამარისებური სიჩუმეა. ბუღბუღები გალობენ*)

ყორღანოვი – ჰეი, ჰავი-მურატ! დაგვენბდი. ჩვენ ბევრნი ვართ! თქვენ კი ცოტა! (*გამყრუებული და ხანგრძლივი სროლა ატყდა. მერე ისევ სიჩუმემ მოიცვა ყოველი. ისევ ავალობდნენ ბუღბუღები*)

## მეთორმეტე ეპიზოდი

ივანე – აბა, მორჩით ენის ტარტარს! ვერა ხედავთ, რამდენი ჩიხირი გვაქვს დასალევი? ვიქეიფოთ! (*ბუტლერს*) დაასხი და მერე შენებურად შემოსძახე! ამ ჩვენს სტუმარს, პოლკოვნიკ კირილოვს არ მოეწყინოს! დალიე, პოლკოვნიკო, ღმერთმა შეგარგოს. (*მგარი სმა და ქეიფი გაჩაღდა. კარი უცებ იღება და შეძლიან კამენევი და ზურჯინგადაკიდებული ჩიხირევი. სიძლერა შეწყდა*) კამენევი, შენა ხარ? ჩვენსკენ რა ქარმა გადმოგავლო? მოდი, ერთი ჭიქა დაგვილიე.

**ბუტლერი** – ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! *(ეხვევა კამენევს. ჭიქას მიაწოდებს)*

**კამენევი** – *(სულმოუთქმელად დაცლის)* გამარჯობა!

**ივანე** – ეხლა არ მითხრა, საქმე მაქვსო! ამ შუალამისას საქმეს ვერ ვაწარმოებ. ახლა ქეიფის დროა! კიდევ დაუსხით! *(კამენევს ჭიქას შეუვსებენ და ისიც სწრაფად დაცლის)*

**კამენევი** – *(პაუზის შემდეგ)* ისე... საქმე მართლაც მაქვს.

**ივანე** – რაო?

**კამენევი** – ჰო, სულ პატარა საქმე მაქვს.

**ივანე** – კარგია თუ ცუდი?

**კამენევი** – გააჩნია – ვისთვის! ჩვენთვის კარგია, ზოგიერთებისთვის კი – ცუდი!

**ივანე** – ვისმენთ!

**კამენევი** – ჩიხირევი! მოდი აქ! *(ჩიხირევი მიუახლოვდება, ხურჯინს მოიხსნის და კამენევს მიაწოდებს)* მაშ, გიჩვენოთ? *(მარიას)* ხომ არ შეგეშინდებათ?

**მარია** – რისი უნდა შემეშინდეს?

**კამენევი** – *(ხურჯინიდან ჰაჯის თავი ამოიღო და სინათლეს მიუშვირა)* იცანით? *(მარია ჩაიკეცა. ბუტლერმა მარია წამოაყენა)*

**ივანე** – ეს როგორ მოხდა? ვინ მოკლა? სად? რატომ?

**კამენევი** – გაქცევა უნდოდა და ვერ მივართვი! ამისათვის გამომგზავნეს. ეს თავი დამაქვს ციხე-სიმაგრეებში, აულებში და ხალხს ვუჩვენებ.

**ივანე** – *(დიდხანს უყურებს)* რაც მართალია, მართალია! ვაჟკაცი იყო. მომეცი ერთი, ვაკოცო!

**ბოქაული** – მართალია, გულადი კაცი იყო, უშიშარი!

**ბუტლერი** – რაო, კამენევი, როცა ხალხს თავს აჩვენებ, თან რა სიტყვებს აყოლებ?

**ივანე** – არა, მომეცი... ჩქარა... უნდა ვაკოცო... ამან ხმალი მაჩუქა... აი, ეს ხმალი, ჰაჯიმ მაჩუქა...

**მარია** – გაჩუქდით! ხმა ჩაიწყვიტეთ! მეტის ატანა აღარ შემიძლია! უგულო იდიოტები ხართ ყველანი! ყველანი! უკლებლივ ყველა!

**ბუტლერი** – დამშვიდდით, მარია! ასეთი რამ ყველას შეიძლება შეგვემთხვეს! ომი ომია!

**მარია** – ომი? რომელი ომი? ღმერთმა დასწყევლოს ყოველნაირი ომი! სასტიკი და უღმობლები ხართ ყველანი! მორჩა და გაათავდა! იმის მაგივრად, მკვდარი მიწას მიაბაროთ, იღრიჭებით და აქეთ-

იქით დაათრევთ. ღმერთი არა გწამთ? თქვენა ხართ ქრისტიანები და ეგ ურჯულო, არა? თქვე მართლა ურჯულოები! *(ბუტლერს მარია გაყავს)*

**ივანე** – *(კამენევს)* თუ ღმერთი გწამს, დაწვრილებით მიაძბე ყველაფერი... ამ სმას გადაყევი და...

**კამენევი** – აი, როგორ მომხდარა ეს ამბავი...

**ყორდანიოვი** – ჰეი, ჰაჯი-მურატი! დაგვებდი! ჩვენ ბევრნი ვართ, თქვენ კი ცოტა! *(გამაყრუებელი და ხანგრძლივი სროლა ატყდა. მერე სიჩუქმ მოიცვა ყოველი. ისევ ამღერდნენ ბულბულები)*

**წამყვანი** – ჰაჯი-მურატი გრძნობდა, რომ კვდებოდა. მის წარმოდგენაში მოგონებები და სახეები გასაოცარი სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს. ხან ლონიერი აბუნუნცალ-ხანი ეჩვენებოდა, რომელსაც ჩამოთლილი ლოყა ცალი ხელით ეჭირა და მეორეთი მტერს ხანჯლით ებრძოდა; ხან დაუძღურებულ, სისხლნაკლულ მოხუც ვორონცოვს ხელავდა და მისი ტკბილი ხმა ჩაესმოდა; ხან თავისი შვილი იუსუფი ედგა თვალწინ, ხან მეუღლე – სოფიათი, ხან კი გაფითრებული, მწითურწვერიანი და თვალმოჭუტული შამილი. ეს არც სიბრაღულს, არც გაბრაზებას, არც არავითარ სურვილს არ იწვევდა. ყველაფერი არარაობად ჩანდა იმასთან შედარებით, რაც იწყებოდა და უკვე დაიწყო კიდევ მისთვის. რამდენიმე მილიციელი გამარჯვების ყიჟინით ეცა დაცემულ სხეულს, მაგრამ ის სხეული, რომელიც ყველას მკვდარი ეგონა, უცებ შეირხა. ჯერ წამოიწია სისხლით მორწყული უფაფახო გაპარსული თავი, მერე წამოიძარტა ტანიც, ჩაებლაუჭა ხეს და მთლიანად წამოდგა ჰაჯი-მურატი. ისეთი საშინელი სანახავი იყო, თავდამსხმელნი შედგნენ. ჰაჯი-მურატი უცებ შეტორტმანდა, მოწყდა ხეს, მოთბულ ბირკასავით მთელი ტანით პირქვე დაეცა და აღარც განძრეულა. ვილაცამ დიდი ხანჯალი დაჰკრა თავში. ჰაჯის მოეჩვენა, თითქოს ჩაქუჩებს ურტყამდნენ, მაგრამ აღარ ესმოდა, ვინ აკეთებდა ამას ან რატომ. ეს იყო ჰაჯი-მურატის შეგნების უკანასკნელი კავშირი მის სხეულთან. მერე აღარაფერს გრძნობდა. მტრები კი ჭრიდნენ და თელავდნენ იმას, რასაც მასთან უკვე აღარავითარი კავშირი არა ჰქონდა. აი, სწორედ ეს სიკვდილი მომაგონა გადახნულ ყანაში გათელილმა ბირკავამ.